ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

მარიამ ლეკიაშვილი

სტუდენტთა წიგნიერების ხარისხის კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი,

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება სტუდენტთა წიგნიერების ხარისხის კვლევას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

21-ე საუკუნეში თითოეული ჩვენგანი გამუდმებით იღებს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციას. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება თითოეულ ადამიანს, ერთსა და იმავე დროს, აქცევს როგორც მედიამომხმარებლად, ასევე, მედიაპროდუქტის ავტორად. დღეს, პრობლემას ინფორმაციის მოძიება კი არა, უკვე ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში გარკვევა წარმოადგენს. ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა ერთმანეთისაგან ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა.

ტექნოლოგიების განვითარებამ შეცვალა ბაზრისა და შესაბამისად ადამიანების კომპეტენციათა მიმართ მოთხოვნები. გაჩნდა ფართო განათლება (პოლიგანათლება), რომელიც ადამიანისგან ფართო უნარ-ჩვევების სპექტრს მოითხოვს. დღეს რომელიმე პროფესიის ცოდნა აღარაა საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანმა თავი დაიმკვიდროს საზოგადოებაში და გახდეს მისი სრულფასოვანი წევრი. ამისათვის იგი უნდა ფლობდეს კომპეტენციათა ფართო ჩამონათვალს. საჭირო ხდება უნართა გარკვეული ნაკრები ინფორმაციის ეფექტურად გამოსაყენებლად.

წიგნიერება თავის თავში გულისხმობს ყველა იმ უნარ-ჩვევების ერთობლიობას, რომელიც ადამიანს თვითმართული ქმედებებისთვის სჭირდება. წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი, საკვანძო კომპეტენციაა. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ამიტომ წიგნიერების განვითარებას სათანადო ყურადღება ეთმობა როგორც სკოლამდელ და სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების საფეხურზე.

კვლევის ძირითად მიზანს საქართველოს კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა წიგნიერების ხარისხის კვლევა წარმოადგენს. ასევე კვლევა მიზნად ისახავს

სქესისა და ასაკის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების გამოვლენასა და ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტებს შორის განსხვავების დადგენას.

წინასწარი კვლევის შედეგად შემუშავდა **ჰიპოთეზები:** საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა წიგნიერების ხარისხი დაბალია; საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს წიგნიერების განსხვავებული ხარისხი სტუდენტებში ფაკულტეტების მიხედვით.

კვლევის საგანს წარმოადგენს სტუდენტების წიგნიერების ხარისხის დადგენა, ხოლო **ობიექტს** კი კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

რესპონდენტების შერჩევა ჩატარდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით. კვლევაში მონაწილეობისთვის შეირჩა საქართველოს სამი ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტი: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თავისუფალი უნივერსიტეტი. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით თითოეული ფაკულტეტიდან შეირჩა 30-30 სტუდენტი, შესაბამისად, ჯამში გამოიკითხა 270 მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტი. კვლევის შედეგები დეტალურად არის წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომში.

Lekiashvili Mariam

Study of quality of student literacy in higher educational institutions of Georgia

Abstract

The present paper is devoted to the study of the quality of student literacy in the higher education institutions in Georgia.

In the 21st century, each of us constantly receives huge volume information. The development of digital technologies makes every human being, at the same time, become a media user, as well as an author of media product. Today, the problem is not to find information, but it is to clarify the huge flow of information. The separation of fact and opinion has become one of the biggest challenges of our time.

The development of technologies has changed the requirements of the market and the competencies of people accordingly. There is a wide-ranging education (poly education) that requires a wide range of skills. Nowadays, knowledge of any professions is no longer sufficient for a person to establish in society and to become a full member. For this he/she should possess a wide set of competences. A certain set of skills is needed for efficient use of information.

Literacy involves a combination of all the skills needed for self-governing actions. Literacy is one of the major, key competences in the modern word. Reading and writing skills significantly affects the formation of individual as a citizen and his success in any field of activity. Therefore, the development of literacy is paid relevant attention to the preschool and school, and the higher education level.

The main goal of the research is to study the quality of student literacy of private and state universities in Georgia. The research also aims at identifying differences between gender and age, and finding differences between faculties and universities.

Hypotheses have been developed as a result of preliminary research: student literacy rate in Georgia is low. There are different degrees of literacy at universities in Georgia according to faculties.

The subject of research is to determine quality of student literacy, while the object is private and state higher education students.

Respondents were chosen based on the target selection method. Three tom rated universities were selected for participation in the research: Tbilisi Ivane Javakhishvili state University, Ilia State University and Free University. 30 students were selected from each faculty by the random sampling principle, and in total 270 3rd and 4th year students were interviewed. The results of the research are presented in detail in the present paper.

სარჩევი

შესავალი 1

თავი 1. . წიგნიერება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში 5

1.1.წიგნიერების განსაზღვრება 5

1.2.წიგნიერების სახეები 8

1.3. კომპეტენციები 12

1.4.ფაქტორები, რომლების გავლენას ახდენს წიგნიერებაზე 15

1.5.PIRLS- ის წიგნიერების კვლევა და საქართველოს შედეგები 21

1.6. წიგნიერების საერთასორისო კვლევები 23

1.7.წიგნიერება უმაღლესი განათლების საფეხურზე 30

კვლევითი ნაწილი 32

თავი1. კვლევის მეთოდოლოგია 32

1.1 კვლევის ინსტრუმენტი 33

1.2. ICAI -ის ადაპტაცია 38

1.3. ICAI-ის ადაპტირებული ვარიანტის ფსიქომეტრული მახასიათებლები: სანდოობა, ქვესკალებს შორის კორელაცია, ფაქტორული ანალიზი 39

თავი 2. კვლევის შედეგები და ანალიზი 42

2.1.ემპირიული კვლევის შედეგების აღწერა 42

2.2. კვლევის შედეგების აღწერა 47

2.3. ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი 62

დასკვნები 72

რეკომენდაციები 74

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

დანართი A

დანართი B

დანართი C

დანართი D

შესავალი

21-ე საუკუნეში თითოეული ჩვენგანი გამუდმებით იღებს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციას. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება თითოეულ ადამიანს, ერთსა და იმავე დროს, აქცევს როგორც მედიამომხმარებლად, ასევე, მედიაპროდუქტის ავტორად. დღეს, პრობლემას ინფორმაციის მოძიება კი არა, უკვე ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში გარკვევა წარმოადგენს. ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა ერთმანეთისაგან ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა.

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, საჯარო რესურსების ცენტრის, სპეციფიკური ინტერესების ორგანიზაციების, მედიისა და ინტერნეტის საშუალებით. ეს ინფორმაცია, როგორც წესი, ინდივიდამდე „გაუფილტრავი“ სახით მიდის და ბადებს კითხვებს მისი ავთენტურობის, ვალიდურობისა და სანდოობის შესახებ. ამას გარდა, ინფორმაცია მრავალი ფორმით მიეწოდება ინდივიდს – მრავალფეროვანი მედიასაშუალებებით, მათ შორის, გრაფიკული, სმენითი, ტექსტური – რაც მისი შეფასებისა და გაგების ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ინფორმაციის საეჭვო ხარისხი და მზარდი რაოდენობა დიდ სირთულეს უჩენს საზოგადოებას. ინფორმაციის სიუხვე თავისთავად ვერ შეუწყობს ხელს უფრო ინფორმირებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას. ტექნოლოგიების განვითარებამ შეცვალა ბაზრისა და შესაბამისად ადამიანების მიმართ მოთხოვნები. დღეს საზოგადოება ადამიანებისგან ფართო უნარ- ჩვევების ცოდნას მოითხოვს.საზოგადოების ცვლილებასთან ერთად კი წიგნიერების ეს უნარ-ჩვევები მუდმივად იცვლება, ვითარდება და უფრო ფართო ხასიათს იძენს.

წიგნიერება თავის თავში გულისხმობს ყველა იმ უნარ-ჩვევების ერთობლიობას, რომელიც ადამიანს თვითმართული ქმედებებისთვის სჭირდება. წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი, საკვანძო კომპეტენციაა. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ამიტომ წიგნიერების განვითარებას სათანადო

ყურადღება ეთმობა როგორც სკოლამდელ და სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების საფეხურზე.

უმაღლესი განათლების ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი მისია უწყვეტი განათლების ხელშეწყობაა. როცა უნივერსიტეტი ხელს უწყობს განსჯისა და კრიტიკული აზროვნების ინტელექტუალური უნარების განვითარებას და ეხმარება სწავლის ჩარჩოს აგებაში, ის საფუძველს უყრის ადამიანის მუდმივ კარიერულ ზრდასა და საზოგადოებაში ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბებას. რადგან, წიგნიერების კომპეტენცია აფართოებს სწავლას ფორმალური სასწავლო გარემოს ფარგლებს მიღმა და უზრუნველყოფს ისეთ გამოცდილებას, რომელიც აუცილებელია თვითმართული ძიებისათვის ცხოვრების ყველა სფეროში. სწორედ ამიტომ, მრავალ ქვეყანაში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამა იმ მოზარდებისა და ზრდასრულებისათვის, რომლებიც, ამა თუ იმ მიზეზით, უწიგნურად დარჩენის რისკის წინაშე დგანან.

თემის აქტუალობა

მსოფლიოს ბაზარმა გაზარდა მოთხოვნები კონკრეტული პროფესიებისა და ზოგადად ადამიანების კომპეტენციების მიმართ. გაჩნდა მოთხოვნა ფართო მრავალმხრივი განათლებისა (პოლიგანათლება), რომელიც ადამიანისგან ფართო უნარ-ჩვევების სპექტრს მოითხოვს.თუ დღეს ადამიანს სურს გახდეს კონკურენტუნარიანი, მიაღწიოს საკუთარ მიზნებს, დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებაში და გახდეს მისი სრულფასოვანი წევრი, ამისათვის იგი უნარ-ჩვევათა ფართო სპექტრს უნდა ფლობდეს.

საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლება კი უმაღლეს განათლების საფეხურზეა შესაძლებელი და მოიპოვება ხარისხიანი განათლებით.

კვლევის მიზნები

- ნაშრომის მთავარ მიზანს საქართველოს კერძო და საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტთა წიგნიერების ხარისხის კვლევა წარმოადგენს.

- დადგენა იმისა,არის თუ არა განსხვავება კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს ან ფაკულტეტებს შორის.
- კვლევისათვის საჭირო ინსტრუმენტის ადაპტირება

კვლევის ამოცანები

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოს და უცხო ქვეყნის მაგალითზე;
- საკითხის/პრობლემის განსაზღვრა;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- კვლევა;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანს წარმოადგენს სტუდენტების წიგნიერების ხარისხის დადგენა, ხოლო **ობიექტს** კი კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი **კვლევის მეთოდი,** კერძოდ დოკუმენტების ანალიზი(სამაგიდო კვლევა) და კვლევის რაოდენობრივი მეთოდი გამოკითხვა. მიზნობრვად შეირჩა საქართველოს სამი ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თავისუფალი უნივერსიტეტი. ასევე მიზნობრივი შერჩევის მეთოდით შეირჩა სამი ფაკულტეტი, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა უწყობდნენ ხელს წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებიდან შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა 30-30 სტუდენტი. საბოლოოდ კვლევა ჩატარდა 270 სტუდენტზე.

კვლევაში გამოყენებულია როდნი მარშალის “ინფორმაციული კომპეტენციის შეფასების ინსტრუმენტი”, რომელიც ინფორმაციის კომპეტენტურობას ზომავს იმ ათ სფეროში, რომლებიც მიიჩნეოდა ადამიანის კომპეტენციისთვის საერთო მნიშვნელობის მქონედ. ესენია: **თემის იდენტიფიცირება; ინფორმაციის საჭიროებების განსაზღვრა; საინფრომაციო ტექნოლოგიების გამოყენება(ინფორმაციის მოძიება); ინფორმაციის მიღება და განლაგება; მასმეედიის სათანადო გამოყენება; ინფორმაციის შეფასება; ინფორმაციის ორგანიზება და სინთეზი; ინფორმაციის წარდგენა; ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაგება; უკუკავშირის გათვალისწინება და მომავალ პროექტებზე გავრცელება.**

კვლევის შეკითხვები

- როგორია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა წიგნიერების ხარისხი?
- არსებობს თუ არა განსხვავება სტუდენტებში წიგნიერების დონის მხრივ ფაკულტეტების მიხედვით?
- შეუძლიათ თუ არა მათ ტექსტების სრულფასოვანი ანალიზი?

ჰიპოთეზები

- საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა წიგნიერების ხარისხი დაბალია.
- საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს წიგნიერების განსხვავებული ხარისხი სტუდენტებში ფაკულტეტების მიხედვით.

მეცნიერული სიახლე

საქართველოში პრაქტიკულად არ მოიპოვება დიდი თუ მცირე კვლევა, რომელიც აღწერს წიგნიერების ხარისხის კვლევას სტუდენტებში. აღნიშნული კვლევა სიახლეა და

ერთ-ერთ რესურს წარმოადგენს დაინტერესებული პირებისთვის და მომავალი მკვლევარებისთვის.

თავი 1. . წიგნიერება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში

1.1.წიგნიერების განსაზღვრება

ძველ ცივილიზაციებში წიგნიერება პიქტოგრამების, სასცენო კოლაჟების ამოკითხვას, გამომსახველობითი ფორმებით წარმოდგენილი ინფორმაციის წაკითხვასთან, დამუშავებასა და გაგებასთან იყო დაკავშირებული. შუმერულ და ასურულ ცივილიზაციებში ამ უნარ-ჩვევას მცირერიცხოვანი ჯგუფი ფლობდა, რომელთა უმეტესობა დიდგვაროვანი და სასულიერო პირი იყო. მოგვიანებით, ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, ძველ საბერძნეთსა და რომში, წერა-კითხვისა და მათემატიკური უნარ-ჩვევების ცოდნა საზოგადოების შეძლებული ფენის პრივილეგია გახდა. შუა საუკუნეების ევროპაში წიგნიერების კომპეტენციის შესწავლა ძირითადად სასულიერო ფენის წარმომადგენლებისგან ხდებოდა. ხოლო რენესანსმა და ბეჭდვითი ტექნიკის განვითარებამ წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა გაზარდა. მე-19 და მე-20 საუკუნეებში კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სავალდებულო სასკოლო განათლების პოლიტიკამ წერა-კითხვის ფართო მასებში გავრცელება მოიტანა.

ნელ-ნელა გაფართოვდა წიგნიერების მნიშვნელობა და გასაკვირიც არაა, ტერმინი წიგნიერება დღესაც ზუსტად არაა განმარტებული. თუ ადრე წიგნიერება მხოლოდ პიქტოგრამების გაგებასთან იყო დაკავშირებული, დღეს წიგნიერება მრავალი უნარ-ჩვევის ცოდნას მოიცავს.

კაცობრიობა ვითარდება, ცივილიზაცია იცვლება, შესაბამისად დღესაც მუდმივად იცვლება წიგნიერების მნიშვნელობა, ამიტომ წიგნიერების ერთ შეთანხმებულ განმარტებას სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით. თუმცა,

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღეს წიგნიერება ნიშნავს მრავალფეროვანი ტექსტების გამართულად წაკითხვის, გაგება-გააზრებისა და ინტერპრეტაციის, ასევე, სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნის უნარს (პაპავა&ჭანტურია,2012)[1].

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) წიგნიერებას განმარტავს, როგორც განსაზღვრის, გაგების, ინტერპრეტაციის, შექმნის, კომუნიკაციის, გამოთვლის, ამა თუ იმ კონტექსტთან დაკავშირებული ნაბეჭდი და წერილობითი მასალის გამოყენების უნარ-ჩვევების ერთობლიობას. წიგნიერების ცნება მოიაზრებს სწავლას მთელი სიცოცხლის მანძილზე, მის უწყვეტობას და საშუალებას აძლევს ინდივიდის, მიაღწიოს მიზნებს, გაიღრმავოს ცოდნა, აიმაღლოს შესაძლებლობები და სრულად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრირება. ამდენად, თანამედროვე გაგებით, წიგნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთ უნარებთან, როგორებიცაა ზეპირი კომუნიკაცია, წაკითხულის განხილვა და დისკუსია, კრიტიკული აზროვნება, წარმოსახვა და სხვ. ტექსტების მრავალფეროვნებაში, ძირითადად, იგულისხმება, როგორც მხატვრული ან თხრობითი, ასევე, საინფორმაციო ან ინსტრუქციული ტექსტები. თუმცა, არსებობს ისეთი ტიპის ტექსტებიც, რომლებიც შეიძლება ერთ კატეგორიაშიც შევიყვანოთ და მეორეშიც, ვინაიდან ორივე ტიპის ტექსტის ნიშან-თვისებები გააჩნია (მაგ. ისტორიული მოვლენის აღწერა, ბიოგრაფია, მემუარი და სხვ). აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ბეჭდვითი საშუალებების გამოყენებით საკითხავი ტექსტები გამდიდრებულია სქემებით, დიაგრამებით, ილუსტრაციებით, ელექტრონული ბმულებით და ა.შ., ამიტომ წიგნიერება გულისხმობს არსებული სქემების, დიაგრამებისა და ილუსტრაციების გაგებასა და გააზრებასაც.

წიგნიერების პირველი საერთაშორიო კვლევის (PIRLS – Progress in International Reading Literacy Study) 2001-ისთვის IEA-მ ჩამოაყალიბა ,,კითხვის" განმარტება. კითხვის განმარტებისა და კითხვის შესაფასებელი ჩარჩოს დადგენის საფუძველს IEA-ს მიერ 1991 წელს ჩატარებული წიგნიერების კვლევა (Elley, 1992, 1994; Wolf 1995) წარმოადგენდა.

[1] პაპავა, პ., ჭანტურია, თ. (2012) *წიგნიერება, მასწავლებლის სახელმძღვანელო*,თბილისი: სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა (Naec-National Assessment and Examination Center) 2009 და 20011 წლებში თარგმნა და წარმოადგინა PIRLS-ის მიზნები და საქართველოს შედეგები, ასევე გამოყო ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელებიც წიგნიერების საერთაშორისო კვლევის მიხედვით გავლენას ახდენს წიგნიერების ხარისხზე(Naec, 2011)[2].

PIRLS-მა განსაზღვრება გადაამუშავა ისე, რომ ის ყველა ასაკობრივ ჯგუფს ერგება, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს კითხვის გამოცდილების ბავშვებისათვის დამახასიათებელ ასპექტებზე. 2006-დან დღემდე, წიგნიერების განმარტება თანდათან დაიხვეწა და ხაზი გაესვა კითხვის დიდ მნიშვნელობას სკოლებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

PIRLS-ში წიგნიერება განისაზღვრება, როგორც *„საზოგადოების მიერ ღირებულად მიჩნეული და/ან ინდივიდისთვის ფასეული წერილობითი ენობრივი ფორმების გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობა“* [Naec,2011]. კვლევაში ხაზი გაესვა იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ მკითხველებს უნდა შეეძლოთ მრავალფეროვანი ტექსტების შინაარსის გაგება. მათ უნდა შეეძლოთ ჩაწვდნენ სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების ლიტერატურულ და საბუნებისმეტყველო ტექსტებს, ენციკლოპედიებს, მათემატიკურ ამოცანებსა და ცხრილებს, ისტორიულს წყაროებს, დოკუმენტებს და სხვა.

წიგნიერების მრავალი თეორიის მიხედვით, წიგნიერების ცნება მოიაზრებს მკითხველის დადებით დამოკიდებულებას, კეთილგანწყობას კითხვის მიმართ. მკითხველი სხვადასხვა სახის ტექსტიდან იძენს ცოდნას სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ და განიცდის ინტელექტუალურ სიამოვნებას (Greany & Neuman, 1990).[3]

---

[2] გამოცდების ეროვნული ცენტრი,(2011). PIRLS 2011, წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასზე ზემოქმედი ფაქტორები.

[3] Greany & Neuman, 1990; Organization for Economic Cooperation and Develpment, 1999, Wagner, 1991).

დასკვნის სახით, წიგნიერება შესაძლოა განისაზღვროს, როგორც რაოდენობრივი, ვერბალური და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელთა ერთობლივი ცოდნა და გამოყენება აუცილებელია დღევანდელ სამყაროში სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის.

1.2.წიგნიერების სახეები

ისტორია გვასწავლის, რომ წიგნიერების ვიწრო და ფართო განმარტებაში-„კითხვისა და წერის უნარი"-რთული, ფარული, ინტელექტუალური ბრძოლაა ძალაუფლებისა და ავტორიტეტის ხელში ჩაგდებისთვის. საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა, რათა ჰქონოდათ წვდომა ბეჭდურ ტექსტებზე, მიეწვდინათ საზოგადოებისთვის ან თავად შეექმნათ და გაევრცელებინათ იგი. ბრძოლა თანდათან იცვლება და ფართო მასშტაბებს იღებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ზრდის კვალდაკვალ. თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო გარემოში საჭირო წიგნიერება ცოდნისა და სწავლის ძველი ტრადიციის ფორმებთან ერთად, აჩენს წიგნიერების ახალ სახეებს.

დრომ და საუკუნეებმა, წიგნიერების ცნების ხელახალი გააზრება და გამდიდრება, წიგნიერების სტანდარტების დახვეწა განაპირობა. წიგნიერების ცნებამ ტრანსფორმაცია განიცადა საუკუნეების განმავლობაში, მისი დანიშნულების ცვალებადლობასთან ერთად. შესაბამისად, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა წიგნიერების განსხვავებული სახეები, რომლებიც კონკრეტული უნარების ცოდნას მოითხოვდა ინდივიდისაგან.

თუ ძველად წიგნიერების ცნება დაკავშირებული იყო წერა-კითხვასთან, მათემატიკური და ვერბალური უნარების გამოყენებასთან მეოცე საუკუნემ, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო. გლობალური საზოგადოების ზრდამ, მიგრაციისა და ემიგრაციის, დროებითი გადაადგილების, ტურიზმის, სამსახურებრივი საერთაშორისო ვიზიტების მაჩვენებლების ჩათვლით, ისევე როგორც მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გააქტიურებამ, წიგნიერების ახალ სახეებს დაუდე სათავე.

სამ ახალ სახეს დაუდო სათავე: კულტურულს, მულტიკულტურულსა და ბილინგვურს.

გლობალიზაციამ და განსხვავებული კულტურების დაახლოებამ საჭირო გახადა კულტურული წიგნიერების ცნების გააზრება. რომელიც კულტურათაშორისი მსგავსებებისა და განსხვავებების, ტრადიციების, ღირებულებების, წეს-ჩვეულებების გაცნობიერებას და დაფასებას გულისხმობს.

გაჩნდა ასევე, მულტიკულტურული წიგნიერება, რომელიც კულტურული წიგნიერებისგან განსხვავებით, არა მხოლოდ სხვისი კულტურის დაფასებას, არამედ ამ გარემოში სრულფასოვანი ფუნქციონირების უნარ-ჩვევებს გულისხმობს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონში ვხვდებით შემდეგ განმარტებას. „მულტიკულტურული - (multicultural), ტერმინი გამოიყენება ისეთი საზოგადოებების აღსაწერად, რომლებშიც თანაარსებობს რამდენიმე კულტურა (მაგალითად, განსხვავებული ენები, ჩაცმულობა, საქმიანობის ფორმები, საგანმანათლებლო სისტემები) ერთი გეოგრაფიული რეგიონის საზღვრებში და ერთი მთავრობით.[4]

სწორედ მულტიკულტურული წიგნიერება ედება საფუძვლად წიგნიერების კიდევ ერთ ახალ სახეს- ბილინგვურ წიგნიერებას, რომელიც რამდენიმე ენაზე წერა-კითხვისა და სრულყოფილი ფუნქციონირების აუცილებლობას წარმოადგენს.

გლობალიზებულ სამყაროში მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობას ერთხელ მაინც ჰქონია რაიმე სახის ინტერაქცია სხვა ქვეყნისა თუ კულტურის წარმომადგენელთან. რაც შეეხება რეგულარულ კულტურათაშორის ურთიერთობებს, ზუსტი სტატისტიკა უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, 200 მილიონი კაცია დასაქმებული მულტინაციონალურ კორპორაციებში, ხოლო დაახლოებით 400 მილიონი სამუშაოზე იყენებს ინგლისურ ენას. არსებული მონაცემები იმაზე მიგვანიშნებს, რომ მულტიკულტურული ცნობადობა/წიგნიერება და ბილინგვური წიგნიერება ისევე მნიშვნელოვანი გახდა

[4] http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98

თანამედროვე მსოფლიოში, როგორც მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა და საბაზისო მათემატიკური კომპეტენციების ფლობა.

თუმცა, დღეს მსოფლიოში მრავალი ადამიანი გამოდის გლობალიზაციისა მულტიკულტურიზმის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ, რომ მულტიკულტურული გარემო შთანთქავს ადგილობრივ კულტურებს, რაც განსაკუთრებით საფრთხის შემცველია მცირე ერებისა და კულტურებისთვის. რაც შეეხება ბილინგვიზმს, მათი მოსაზრებით, რომელიმე კონკრეტული ენის გაძლიერება და მეორე ენად ქცევა, აკნინებს მსოფლიოს მრავალ ადგილობრივ ენას, რაც ეროვნული იდენტობის დაკნინებისა და გაქრობის საფრთხეს წარმოშობს.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, საინფორმაციო ხანის გაჩენიდან, წიგნიერების კიდევ რამდენიმე ახალი და მნიშვნელოვანი ფორმა გაჩნდა - საინფორმაციო წიგნიერება, მედიაწიგნიერება და ვიზუალური წიგნიერება.

მედია- და ვიზუალური წიგნიერების გაჩენას ხელი შეუწყო ინფორმაციის გავრცელებამ და ახალმა საკომუნიკაციო საშუალებებმა. ტელევიზორის გამოგონებამ და გავრცელებამ ვიზუალური წიგნიერების პასიური ფორმა (ვიზუალური იმიჯის აღქმის უნარი) მოსახლეობის ფართო ფენების უნარ-ჩვევად აქცია. ვიზუალური წიგნიერების აქტიური ფორმა (ვიზუალური იმიჯის შექმნის უნარი) კი წიგნიერების უახლესი ტენდენციის, ციფრული წიგნიერების მოთხოვნად იქცა(ნეფარიძე, 2012)[5]

ციფრული წიგნიერების ცნება პირველად პოლ გლისტემა გამოიყენა 1997 წელს. მისი განსაზღვრებით, ციფრული წიგნიერება ინფორმაციის სხვადასხვა ციფრული წყაროდან მიღებასა და გამოყენებას გულისხმობდა. "ცოდნის საზოგადოებაში" ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მიღება აუცილებელი ფუნქციონალური უნარ-ჩვევაა. მოგვიანებით ციფრული წიგნიერების ცნება უფრო მეტად გაფართოვდა და ტექნოლოგიების მეშვეობით პროდუქტის შექმნაც მოიცვა (ნეფარიძე, 2012)

[5] ნეფარიძე.თ.(2012). წიგნიერების ტრადიციული და ახალი სახეები. *"მასწავლებელი"*

ოცდამეერთე საუკუნეში იმდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა მედია_ და ციფრული ტექნოლოგიების ცნებამ, რომ ისინი საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაშიცაა შეტანილი, როგორიც მნიშვნელოვანი კომპეტენციები.

ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიაწიგნიერებას განმსაზღვრელი ადგილი უკავია სასწავლო პროცესში, მედია მიჩნეულია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მძლავრ კულტურულ იარაღად. მულტიმედიური ტექსტების (ენობრივი, ხმოვანი და ვიზუალური საშუალებების ერთობლიობა) გამოყენება კი ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა მოსწავლეთა განვითარებისთვის.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მედიაწიგნიერების მნიშვნელობას დიდი ყურადღება ექცევა, რადგან თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მედიაწიგნიერების განმარტება ასეთია: „*მედიაწიგნიერება გულისხმობს მულტიმედიური ტექსტების (რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს) აღქმა-გააზრების, ინტერპრეტირების, გამოყენებისა და შექმნის უნარს, ასევე მედიასამყაროში ორიენტირების, სწორი არჩევანის გაკეთების (ინფორმაციის „გაფილტვრის“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების უნარს* [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018].“[6]

მსოფლიოში თანამედროვე საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ, წიგნიერების ცნების დახვეწა და განვითარება გამოიწვია. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, „ციფრული წიგნიერება (კომპიუტერული წიგნიერება) მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც, რასაც მთლიანობაში ციფრული წიგნიერება ეწოდება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება

[6] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, (2018), ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024,თბილისი.

ხელს უწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას მოსწავლეებში (2018).

გარდა ამისა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა რაოდენობრივ და ეკოლოგიურ წიგნიერებას. რაოდენობრივი წიგნიერება უადვილებს მოსწავლეს, არა მხოლოდ მათემატიკის, არამედ სხვა საგნების შესწავლასაც. *„რაოდენობრივი წიგნიერება არის იმ უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელთა დაუფლება მოსწავლეს უადვილებს რიცხვის არსის გააზრებას, რაოდენობის სხვადასხვა ხერხით გამოსახვას, რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებას"* [2018].

რაც შეეხება ეკოლოგიური წიგნიერებას, იგი მოიაზრებს, ადამიანის გააზრებულ დამოკიდებულებას გარემოს მიმართ. ეკოლოგიური წიგნიერება ეხმარება ადამიანს გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში.

მიუხედავად წიგნიერების მრავალი ფორმის გაჩენისა, ისინი წიგნიერების ერთი ფართო განმარტების ქვეშ ერთიანდებიან. რომლებიც ადამიანებს უსაზღვრო მოთხოვნებს უწესებენ და მათგან ფართო უნარ -ჩვევების ცოდნაას მოითხოვენ.

1.3. კომპეტენციები

როგორც უკვე აღინიშნა, წიგნიერების კომპეტენციის განვითარებას ძალიან დიდი ადგილი და ყურადღება ეთმობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის" (EQF-LLL) მიხედვით: *"კომპეტენცია ნიშნავს ცოდნის, უნარებისა და პერსონალური, სოციალური და/ან მეთოდოლოგიური შესაძლებლობების დადასტურებულ გამოყენებას, როგორც სამუშაო ან სასწავლო სიტუაციაში, ასევე პროფესიული და პერსონალური განვითარებისათვის"* [EQF,2014].

თუმცა, დღეს ვრცელი განმარტება გადაამუშავეს და კომპეტენციის უფრო ვიწრო განმარტება შეიმუშავეს, რომლის მიხედვით: *„კომპეტენცია ნიშნავს ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას“*[EQF,2014].

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები მოიცავს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამომუშავებასა და განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა საგნის სწავლება.

სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთაშორისი კავშირების დამყარება. გამჭოლი კომპეტენცია ხელს უწყობს თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებასა და სათანადო ადგილის დამკვიდრებას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. პრიორტიტეტული გამჭოლი კომპეტენციები მოიცავს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამომუშავებასა და განვითარებას ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლება სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად.

როგორც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია გაწერილი, პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთშორისი კავშირების დამყარება. მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მოხდეს ხელშეწყობა, რათა ინდივიდმა რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს. წიგნიერება პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პირველ ადგილს იკავებს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში წიგნიერების კომპეტენცია განმარტებულია, როგორც: *„ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების,*

სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი [ეროვნული სასწავლო გეგმა,2018].“

დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს; თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს.

წიგნიერება რამდენიმე უნარის ერთიანობაა,დროთა განმავლობაში ეს უნარები კიდევ ემატება. უნარების განვითარებას მოზარდში განათლება და სწავლება, ანუ აღზრდა ემსახურება. აღზრდის ფუნქციაზე სკოლაში არაფერს ამბობენ, იქ მხოლოდ მართვაზეა საუბარი. პლატონისა და არისტოტელეს აზრით, აღზრდა ადამიანის სულის ნაწილია, სულს კი მართვით ვერ განავითარება.

არისტოტელესთვის აღზრდა ბავშვის ადამიანად გადაქცევის საშუალებაა. აღზრდის მიზანია, აზროვნებითი ქმედების ჩამოყალიბება, სულის უმაღლესი მხარეების-გონივრულის და ცხოველურის განვითარება-ჩამოყალიბება. რომელიც თავის თავში გულისხმობს ბავშვის გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური შესაძლელობების სრულყოფილად ფორმირებას. ანუ ბავშვის ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბებას, რომელსაც ექნება განვითარებული სხვადასხვა უნარი.

სწორედ ეს უნარები მოიცავს დღეს წიგნირებას, რომელთა საბოლოო დასრულებული სახე ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული და კაცობრიობის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება და განივრცობა წიგნიერების ახალი უნარები.

უნარების განვითარება კი სწავლებისა და განათლების საფუძველზე ხდება. განათლება მოიზრებს ადამიანის მიერ ცოდნის დაუფლებას და მის საფუძველზე უნარებისა და ჩვევების განვითარებას, ეს ყველაფერი კი სწალებითაა შესაძლებელი.

1.4.ფაქტორები, რომლების გავლენას ახდენს წიგნიერებაზე.

წიგნიერებაზე მოქმედ ფაქტორებზე საუბრისას პირველყოვლისა აღსანიშნავია განათლების **სისტემის სტრუქტურა და საგანმანათლებლო პოლიტიკის** თავისებურებების (მაგალითად, ცენტრალიზებული განათლების სისტემა ერთგვაროვანი კურიკულუმით, წიგნებითა და ზოგადი პოლიტიკით ხასიათდება. დეცენტრალიზებულ განათლების სისტემაში, სკოლები თვითონ განსაზღვრავენ სამოქმედო გეგმასა და სწავლების მეთოდებს) გამოყოფა. წიგნიერების ხარისხზე მნიშვნელოვნად მოქმედეს საგანმანათლებლო პოლიტიკა, სახელმწიფოს მიზნები განათლების სფეროში, ის თუ როგორი ინდივიდის აღზრდა სურს სახელმწიფოს. საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნების განხორციელებას სასკოლო ასაკიდან იწყებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის სკოლაში შესვლისა და კითხვის ფორმალური სწავლების დაწყების ასაკი. ეს ის ფაქტორებია, რომლებმაც შესაძლებელია, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს პროგრესზე კითხვის სწავლაში. ბავშვის წიგნიერების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს სკოლამდელი განათლება, კერძოდ, სკოლამდელი განათლების სავალდებულო/ არასავალდებულო ხასიათი და მისთვის განკუთვნილი წლების რაოდენობა(PIRLS, 2011)[7].

წიგნიერებაზე მოქმედი ფაქტორებიდან უდიდესი როლი **სასწავლო გარემოს** ენიჭება. საერთაშორისო კვლევების მიხედვით, შეჭირვებულ დასახლებებში მდებარე სკოლებს უფრო უჭირთ სწავლისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. ხშირ შემთხვევაში უსახსრო, ღარიბი ოჯახების ბავშვები ასეთ სკოლებში დადიან, რის შედეგადაც სიღარიბის გავლენა კითხვაში მიღწევის დონეზე კიდევ უფრო მატულობს. მნიშვნელოვანია წიგნიერებასთან

[7] Mullis I.V.S., Martin M. O., Foy P., Drucker K.T., (2012). *PIRLS 2011 International Results in Reading, TIMSS & PIRLS International Study Center, Lynch School of Education, Boston College, Chestnut Hill, MA, USA.*

დაკავშირებული **პოლიტიკისა და სასკოლო კურიკულუმის** სკოლის დონეზე არსებობა, სკოლის დირექტორის მიერ პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნა, სკოლაში მოსწავლეთა მიმართ დადებითი დამოკიდებულებების ფორმირება, ისეთი პედაგოგების შერჩევა, წახალისება, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ თვითგანვითარებაზე, სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფაზე. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ მასწავლებლებისა და მშობლების კოოპერაციისა და ასევე, წიგნიერების ხელშემწყობი გარემოს ხელშეწყობა(PIRLS,2011).

კითხვის უნარების განვითარებაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს **საკლასო გარემოს. სწავლების სტრატეგიები და აქტივობები,** წიგნების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლასში სწავლებასა და სწავლაზე. მასწავლებლის კვალიფიკაცია, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კოლეგებთან თანამშრომლობა, მისი მოლოდინები და დამოკიდებულებები პირდაპირ გავლენას ახდენს მოსწავლეზე.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება **გაკვეთილის ჩატარების ფორმას,** იმას თუ რა სწავლების მეთოდები გამოიყენება სწავლის პროცესში, როგორ ხდება გამოკითხვა და როგორია შეფასების სისტემა.

გაკვეთილის სწორად აგებასა და ჩატარებაზეა დამოკიდებული თუ რა შედეგამდე მივა მასწავლებელი და რას მიიღებენ მისგან მოსწავლეები.

როგორც კვლევები გვიჩვენებს, იმისათვის რომ მოსწავლეთა წიგნიერება გაიზარდოს, აუცილებელია მასწავლებელი იყენებდეს სწავლების შესაბამის **მეთოდებს.**

ადამიანმა საკუთარი გამოცდილებით იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის იმ გზებს, საშუალებებსა და ხერხებს, რომელთაც ის იყენებს.

პრაქტიკა გვასწავლის, რომ საუკეთესოდ მოფიქრებული და ყოველმხრივ შესაძლო ამოცანაა, შრომა - საქმიანობის რა დარგშიც უნდა იყოს იგი, ზოგჯერ მიუღწეველი რჩება იმიტომ, რომ სწორად არ იყო შერჩეული მისი განხორციელებისათვის საჭირო მეთოდები.

ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ კარგად შერჩეული მეთოდიც ვერ აღწევს მიზანს, თუ მას საქმის ცოდნით, მოხერხებულად და პირობების გათვალისწინებით არ იყენებს ადამიანი.

დ. ლორთქიფანიძის ავტორობით გამოცემულ დიდაქტიკაში ასე განიმარტება: *"სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევების გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება".* რამდენადაც სწავლა აღზრდის ძირითადი გზაა, იმდენად, ბუნებრივი და გასაგებია, რომ სწავლების მეთოდი, ამავე დროს, გარკვეული მნიშვნელობით, აღზრდის მეთოდიცაა,აღზრდის ძირითადი გზაცაა. (2.198.)[8]

სწავლების მეთოდები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: აუცილებელია სწავლების მეთოდები იყოს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი; იწვევდეს აქტიურობას და ხელს უწყობდეს მოსწავლის შემეცნებითი, ნებელობითი და სხვა უნარების განვითარებას; სასწავლო სიძნელის დაძლევის პროცესს ხდიდეს მიმზიდველს, საინტერესოს; განამტკიცებდეს სწავლების კავშირს ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან; უზრუნველყოფდეს ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას სწავლების პროცესში (ლორთქიფანიძე, 1981).

გამოიყოფა სწავლების შემდეგი მეთოდები:

1. ზეპირსიტყვიერი, ვერბალური მეთოდები;

2. წიგნით მუშაობის მეთოდები;

3. საგნებისა და მოვლენების უშუალო დაკვირვებითი მეთოდები;

4. შრომითი სწავლების მეთოდები.

სასწავლო პროცესი დიდ ძალისხმევასა და შრომას მოითხოვს, აუცილებელია სასწავლო მეთოდების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი მრავალფეროვანი და ერთობლივი

[8] ლორთქიფანიძე.დ. (1981). დიდაქტიკა, თბილისი.

გამოყენება, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ და სასწავლო პროცესს მრავალფეროვანს ხდიან.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია **საკლასო ოთახის მახასიათებლები.** კლასში შექმნილმა გარემომ და კლასის სტრუქტურამ შეიძლება, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებაზე. კლასი შეიძლება იყოს ძალიან სტრუქტურირებული და მასწავლებელზე ცენტრირებული, ან უფრო ღია და მოსწავლეზე მიმართული. მნიშვნელოვანი ფაქტორია კლასში მოსწავლეთა რაოდენობა, ასევე, მოსწავლეთა შორის ურთიერთობები (წაკითხულის განხილვა, კითხვასთან დაკავშირებული აქტივობები) როგორც კლასში, ისე კლასს მიღმა (Baker. 1991) .[9]

საკლასო ატმოსფეროს მნიშვნელოვან ნაწილს **მოსწავლეთა მახასიათებლები** წარმოადგენს. კითხვაში მაღალი შედეგების მისაღწევად მოსწავლეები უნდა იყვნენ ჯანმრთელნი და მათ უნდა ჰქონდეთ კითხვის სწავლისთვის აუცილებელი უნარები. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეების მაღალი მოტივაცია. ასევე, მნიშვნელოვანია მოსწავლეების, როგორც მკითხველების თვითეფექტურობისა და თვითშეფასების ზრდის ხელშეწყობა. ამისათვის მასწავლებელმა ბავშვებს თავიანთი შეხედულებების გამოთქმისა და ლიტერატურული პროექტების წამოწყების შესაძლებლობა უნდა მისცეს.

მნიშვნელობა ენიჭება თავად მოსწავლეთა მახასიათებლებსა და დამოკიდებულებებს სწავლის მიმართ. კითხვის უნარის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი ხდება ის, თუ რამდენ დროს უთმობს ბავშვი კითხვასა და სხვა გასართობ აქტივობებს. კითხვა გართობის მიზნით ბავშვს არამარტო სიამოვნებს, არამედ შეძენილი უნარების გავარჯიშების საშუალებას აძლევს. კვლევები ადასტურებს, რომ ტელევიზორის ყურებასა და კითხვაში მიღწევას შორის უარყოფითი კორელაციაა, ხოლო გართობის მიზნით კითხვისთვის დახარჯულ დროსა და კითხვაში მიღწეულ შედეგს შორის _ დადებითი (Van der Voort, 2001)[10].

[9] Baker, (1991) ; Baker, Dreher & Guthrie, 2000; Gambrell & Almasi, 1997; Guthrie & Alvermann, 1999).
[10] van der Voort, T.H.A. (2001). Television's impact on children's leisure time reading and reading skills.

მოსწავლეთა მიღწევებსა და უნარების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს **მასწავლებლის ფაქტორს.** მასწავლებლის პროფესია მოითხოვს მუდმივ განვითარებასა და ცოდნის განახლებას მთელი ცხოვრების მანძილზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებლების კვალიფიკაციას, სწავლების მეთოდოლოგიას, კითხვის უნარის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილ საკლასო და კლასგარეშე აქტივობებს. მასწავლების მიერ გავლილი ტრენინგები, სერტიფიცირება,გამოცდილება და სწავლების მიმართ დამოკიდებულება განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს მოსწავლის წარმატებაში((Clotfelter, Ladd & Vigdor, 2007ь; Croninger, Rice, Rathbun & Nishio, 2007; Palardy & Rumberger, 2008).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, **სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაა.** მოსწავლეები რომლებიც საერთოდ არ დადიოდნენ ბაღში, უფრო დაბალი მიღწევები აქვთ, ვიდრე იმ მოსწვალეებს, რომლებიც ბაღში დადიოდნენ. ვინაიდან, სასკოლო მზაობა გულისხმობს ბავშვის ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ განვითარებას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია იმისთვის, რომ მოსწავლემ დაწყებით საფეხურზევე სრულფასოვნად შეძლოს სწავლა.

წიგნიერების მაჩვენებელზე დიდ ზეგავლენას ახდენს **ოჯახის კონტექსტიც.** ოჯახის მიკრო გარემოს შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს ენისა და სხვადასხვა სახის ტექსტების გამოყენებით ,,აღმოჩენების" გაკეთებასა და „ექსპერიმენტების" ჩატარებაში. მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების მიერ კითხვასთან, წაკითხულთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა, ინტერესის გამოხატვა კითხვის მიმართ ბავშვის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებას ახდენს. PIRLS-ი იკვლევს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის შესაბამის ინდიკატორებსა (მშობლების განათლება და საქმიანობა) და მშობლის ჩართულობას წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვები, რომელთაც სახლში ნაკლები კონტაქტი აქვთ წიგნებთან, რომელთაც იშვიათად უკითხავენ, ამასთან, მწირია ოჯახის

საგანმანათლებლო რესურსი, უფრო ნაკლებ ინტერესს იჩენენ კითხვის მიმართ და აქვთ სირთულეები წაკითხულის გააზრების პროცესში (PIRLS, 2011).

ქვეყნისა და საზოგადოების შიგნით ბავშვის წიგნიერების განვითარებაში დიდი წვლილი **კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს** შეაქვს. ქვეყნის წარმატება განათლებასა და წიგნიერი ადამიანების აღზრდაში დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აფასებენ ქვეყანაში წიგნიერებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებს. წიგნიერების მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს ზოგადად წიგნიერების როლის შესახებ საზოგადოების გამოცდილება და რწმენა (Street, 2001)[11]. ოჯახს, სკოლებსა და ზოგადად საზოგადოებას შეუძლიათ, ისეთი გარემო ჩამოაყალიბონ, რომელშიც კითხვას აფასებენ.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ქვეყნის **დემოგრაფიულ მახასიათებლები** დიდ ზეგავლენას ახდენს წიგნიერების ფაქტორზე. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დიდწილად განსაზღვრავს წიგნიერების დონეს და საჭირო რესურსებთან წვდომას.

2016 წლის PIRLS-ის შედეგების მიხედვით, ქალაქში მდებარე სკოლებში მოსწავლეთა 11% წაკითხულის გააზრების მინიმალური კომპეტენციაც არ აქვს, სოფლად მდებარე სკოლების მოსწავლეთა შემთხვევაში, ეს მონაცემი 18%-ია. საჯარო სკოლის მოსწავლეთა შედეგები ჩამორჩება კერძო სკოლის მოსწავლეთა შედეგებს. ასევე, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა შედეგები ჩამორჩება ქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა შედეგებს(PIRLS,2016)[12].

[11] Street, B (2008)Literacy: An Advanced Resource Book for Students, King's College London

[12] Mullis, I. V. S., Martin, M. O., Foy, P., & Hooper, M. (2017a). PIRLS 2016 international results in reading. Retrieved from Boston College, TIMSS & PIRLS International Study Center website: http://timssandpirls.bc.edu/pirls2016/international-results/

1.5.PIRLS- ის წიგნიერების კვლევა და საქართველოს შედეგები

წიგნიერებასთან დაკავშირებულ კვლევებს დიდი ისტორია აქვს. კითხვის სწავლება ყოველთვის აქტუალური და პრობლემური საკითხი იყო. 1950 წლამდე უკვე არსებობდა სამი ათასზე მეტი სამეცნიერო კვლევა წიგნიერებასთან დაკავშირებით. უკანასკნელ პერიოდში მსგავსი პუბლიკაციების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ამ კვლევებში განსაკუთრებული ადგილი წიგნიერების საერთაშორისო კვლევას (PIRLS) უჭირავს.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) მიზანია, შეამოწმოს მოზარდთა **წაკითხულის გააზრების უნარი** მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ის ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება, რაც მონაწილე ქვეყნებს პროგრესის შეფასების საშუალებას აძლევს. კვლევების ამგვარი პერიოდულობა საფუძველს გვიქმნის, დინამიკაში შევაფასოთ საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები (კონკრეტული ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში და განათლების რეფორმის სხვა ასპექტები). ბევრმა ქვეყანამ სწორედ საერთაშორისო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შეცვალა სასწავლო სტრატეგიები თავის საგანმანათლებლო სისტემაში და სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფის თვალსაზრისით სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია.

რას და როგორ სწავლობენ მოზარდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში? რამდენად და როგორ ესმით ის, რასაც კითხულობენ? რა უწყობს ხელს და, პირიქით, რა აფერხებს ამა თუ იმ ქვეყანაში სწავლისა და სწავლების პროცესს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობს საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც 1959 წლიდან მსოფლიოს 70-მდე ქვეყნაში აწარმოებს კვლევებს და საშუალებას აძლევს მონაწილე ქვეყნებს შეადარონ მათი შედეგები სხვა ქვეყნის შედეგებს. მკაფიოდ ავლენს ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ხარვეზებს და კარგ საფუძველს ქმნის იმის გადასაწყვეტად, რა და რატომ არის შესაცვლელი თუ გასაუმჯობესებელი სწავლების პროცესში.

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის შედეგების მიხედვით, მონაწილე ქვეყნებს საშუალება აქვთ, დახვეწონ და შეცვალონ სწავლების პროცესი, გამოავლინონ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პრობლემები, აღმოაჩინონ მთავარი გამოწვევები და იპოვნონ მათი გადაჭრის გზები.

გარდა მოსწავლეებისა, საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობენ კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა პედაგოგები, სკოლის დირექტორები და მშობლები. მათგან მიღებული ინფორმაცია გვეხმარება, გავაანალიზოთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.

PIRLS-ის ტესტები ამოწმებს წაკითხულის გააზრების უნარს _ რამდენად იგებს, იაზრებს ამ ასაკის ბავშვი სხვადასხვა ტიპის ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნის გამოტანა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა (naec, 2011).

საქართველომ პირველად ამ კვლევაში მონაწილეობა 2006 წელს მიიღო. ქართველმა მოსწავლეებმა საკმაოდ დაბალი შედეგები აჩვენეს. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო წლებში, 2011 და 2016 წელს ჩატარებულ ჩატარებულ კვლევებში ქართველი მოსწავლეების შედეგი გაუმჯობესდა, წიგნიერებასთან დაკავშირებული პრობლემები მაინც მთავარ პრობლემად რჩება.

2011 წელს კვლევაში მონაწილე 45 ქვეყნიდან 32 ქვეყანას PIRLS-ის სკალის საშუალო მაჩვენებელზე (500) მაღალი შედეგი აქვს, 12 ქვეყანას კი – საშუალოზე დაბალი. სამწუხაროდ, საქართველო კვლავ საშუალო ნიშნულზე დაბლა მოხვდა. მართალია, PIRLS 2006-თან შედარებით 2011 წელს საქართველოს შედეგები მნიშვნელოვნად – 17 ერთეულით გაუმჯობესდა, თუმცა საერთაშორისო საშუალო ქულას (PIRLS-ის სკალის ცენტრალურ მნიშვნელობას – 500) 12 ერთეულით მაინც ჩამორჩება.

წიგნიერების 2016 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოს მაჩვენებელი არ შეცვლილა და კვლავ 488 ქულით განისაზღვრება.

კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 2% ახერხებს წაკითხულის გააზრებისას უმაღლესი საფეხურის დაძლევას, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე გაწაფულია კითხვაში, იგებს, იაზრებს, აანალიზებს, ასაკთან შესაბამის როგორც ლიტერატურულ, ასევე საინფორმაციო ტიპის ტექსტებს.მიღწევების მაღალ საფეხურზეა მოსწავლეთა 22%, საშუალო საფეხურზე - 60%, დაბალ საფეხურზე კი მოსწავლეთა 86%. (მოცემულია კუმულაციური პროცენტი) მოსწავლეთა 14% კი ე.წ. „კრიტიკული მასაა“, რომლებიც მინიმალური დონეზეც ვერ ახერხებენ წაკითხულის გააზრებას (PIRLS, 2016).

კვლევის შედეგები ადასტურებს იმას, რომ არც თუ კარგი მდგომარეობაა ქართულ სკოლებში, რაც შემდგომში აისახება კიდევაც სტუდენტების წიგნიერების დონესა და მათი მიღწევების ხარისხზე. როდესაც ინდივიდი,ვერ იღებს შესაბამის სასკოლო განათლებას, ის მარტივად ვერ ახერხებს თავი გაართვას უმაღლესი განათლების პროგრამას, რაც შემდეგში სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის მას ფორმალური სასწავლო გარემოს მიღმა დაიმკვირდოს თავი და გახდეს აქტიური მოქალაქე.

1.6. წიგნიერების საერთასორისო კვლევები

არაერთი საერთაშორისო გამოცდილება მოგვეპოვება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების წიგნიერების კვლევასთან დაკავშირებით, რომელიც აღწერს, კონკრეტულ ქვეყანაში წიგნიერებასთან დაკავშირებულ მდგომარეობას, პრობლემებსა და ეძებს მათი გადაჭრის გზებს.

1992 და 2003 წლებში ამერიკაში ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა, სკოლის მოსწავლეების, სტუდენტებისა და ზრდასრულების წიგნიერების ხარისხის შესწავლას. კვლევის მიზანი იყო, წიგნიერების დონე შეეფასებინათ სამი სფეროს მიხედვით, რომლებიც მათი აზრით ყველაზე მეტად ახდენს გავლენას ადამიანთა

წიგნიერებაზე. **პროზაული წიგნიერება** (ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც საჭიროა პროზის ამოცანების შესასრულებლად (მაგ .: უწყვეტი ტექსტების მოძიება, გაგება და ინფორმაციის გამოყენება. ასევე სარედაქციო, საინფორმაციო გამოშვებები, ბროშურები და სასწავლო მასალების გაგება.[13]

დოკუმენტური წიგნიერება-დოკუმენტის ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ცოდნა და უნარები (მაგ :მოძებნა, გაგება და ინფორმაციის გამოყენება სხვადასხვა ფორმატში განსხვავებულ ტექსტებთან).დოკუმენტების მაგალითები მოიცავს სამუშაოს განაცხადებს, სახელფასო ფორმებს, ტრანსპორტის გრაფიკებს,რუკებს და სხვა.

რაოდენობრივი ცოდნა. რაოდენობრივი ამოცანების შესასრულებლად საჭირო ცოდნა და უნარები(მაგ., გამოთვლა და შესრულება გამოთვლები, ცალკე ან თანმიმდევრულად, რიცხვების გამოყენებით დაბეჭდილი მასალები).მაგალითად, რამდენად აქვს უნარი აღრიცხოს საკუთარი შემოსავალი და ხარჯები, გამოარკვიოს მთავარი ფინანსური ამბები და ა.შ.

მთავარი მიზანი იყო გაეზომა, როგორ იყენებდნენ კურსდამთავრებულები წიგნიერების უნარებს სამსახურში, სახლსა და სოციალურ გარემოში.

ავტორებს მიაჩნდათ, რომ *„წიგნიერება არის ბეჭდური და წერილობითი ინფორმაციის გამოყენება საზოგადოებაში ფუნქციონირებისთვის, მიზნის მისაღწევად და ცოდნისა და პოტენციალის განვითარებისთვის* [Kirsch, 2001]“. მათთვის აუცილებელი იყო, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

2003 წელს კვლევა ჩატარდა ამერიკის ექვს შტატში - კენტუკი, მერილენდი, მასაჩუსეტსი, მისური, ნიუ-იორკი და ოკლაჰომა.

[13] Kirsch, I.S., Yamamoto, K., Norris, N., Rock, D., and others. (1992) Technical Report and Data File User's Manual for the 1992 National Adult Literacy Survey (NCES 2001-457). U.S. Department of Education, National Center for Education Statistics. Washington, DC. https://nces.ed.gov/pubs2001/2001457.pdf.

NAAL (National Assessment of Adult Literacy)-ის ტესტი შედგებოდა 152 ამოცანისგან- 46 პროზაული, 52 დოკუმენტური და 54 რაოდენობრივი. კვლევა მოიცავდა ფონურ კითხვებსაც ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ.[14]

მიუხედავად მაღალი შედეგებისა, არის შემთხვევები, როდესაც სოციალური და სამუშაო ადგილების მოთხოვნილება შეიძლება აღემატებოდეს იმას, რასაც ასწავლიან უნივერსიტეტებში. კვლევის ანალიზის შედეგად ადამიანთა კომპეტენციები ქვეყნის მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

მიუხედევად მაღალი შედეგებისა, დღეს განათლების მიღება რჩება მთავარ გამოწვევად, რადგან მათი საფუძველი წიგნიერებაში (ნებისმიერი ენაზე) და ფონური ცოდნის ნაკლებობა არის სწორედ ფორმალური განათლების ხარვეზები.

2006 ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტების წიგნიერების ხარისხის დადგენას. კვლევა ჩატარდა ამერიკის 68 სახელმწიფო და 12 კერძო უნივერსიტეტსა და კოლეჯში, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებში. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 1827 სტუდენტი. NSACS (National Survey of America's College Students)-ის[15] კვლევა კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა. მათ შეისწავლის სტუდენტები კოლეჯისა და უნივერსიტეტის პროგრამების დასასრულს, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტების ფუნდამენტური ცოდნის უფრო ფართო და ყოვლისმომცველი სურათის დანახვას(National Survey of America's College Students,2006).

კვლევაში გამოიყენეს National Assessment of Adult Literacy[16] -ის მიერ შექმნილი ინსტრუმენტი, რომელიც წიგნიერებას ზომავს სამი კომპონენტის მიხედვით, ესენია პროზაული წიგნიერება, დოკუმენტური და რაოდენობრივი წიგნიერება, ასევე გამოიყენეს

[14] Greenberg, E., Ying, J. (2007). 2003 National Assessment of Adult Literacy

[15] Justin D. Baer Andrea L. Cook Stéphane Baldi, National Survey of America's College Students (NSACS) *„the literacy of america's college students", 2006, january*

[16] Kirsch, I.S., Jungeblut, A., Jenkins, L., and Kolstad, K. (1993). Adult Literacy in America: A First Look at the Findings of the National Adult Literacy Survey (NCES 93-275). U.S. Department of Education, National Center for Education Statistics. Washington, DC. https://nces.ed.gov/pubs93/93275.pdf.

ფონური კითხვები, რომელიც ეხებოდა მათ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, მიღებულ განათლებასა და ენის ცოდნას.

კვლევის შედეგები შეადარეს National Assessment of Adult Literacy-ის ჩატარებული კვლევის შედეგებს მოზარდებთან და სხვადასხვა კურსის სტუდენტებთან. აღმოჩნდა რომ, მეორე და მეოთხე კურსის კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტების წიგნიერების მაჩვენებელი შედარებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მოზარდების საშუალო მაჩვენებელი.

რაც შეეხება სქესს შორის სხვაობას, კვლევის მიხედვით, წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი ქალებსა და კაცებს შორის თითქმის იდენტურია, არ შეინიშნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება.

სამივე ფაქტორის მიხედვით, მეოთხე კურსის სტუდენტებს ჰქონდათ უფრო მაღალი რაოდენობრივი, დოკუმენტური და პროზაული წიგნიერების მაჩვენებელი, ვიდრე მეორე კურსის სტუდენტებს.

კერძო და საჯარო კოლეჯებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის წიგნიერების ხარისხის მაჩვენებელებს შორის არ იყო სხვაობა.

საბოლოო ჯამში, კვლევის ანალიზის მიხედვით, მეოთხე კურსის სტუდნეტთა მხოლოდ 15%-მა აჩვენა საშუალო ქულაზე დაბალი შედეგები, ხოლო 18%-მა საშუალოზე მაღალი.

სამი წლის წინ, საქართველოში წიგნიერების დონის შესასწავლად ჩატარდა კიდევ ერთი კვლევა. საქართველო, წიგნიერების დონის მაჩვენებლით, 61 ქვეყნიდან 51-ე ადგილზეა, ამბობს 2016 წლის გამოკვლევა, რომელიც ცენტრალური კონექტიკუტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ჯონ მილერმა და მისმა გუნდმა ჩაატარა[17]. (Miller &McKenna,2016).

[17] John W. Miller, Michael C. McKenna,. (2016) World Literacy: How Countries Rank and Why It Matters.

როგორც უკვე აღინიშნა, წიგნიერება არ ნიშნავს მხოლოდ წერა-კითხვის უნარს, ის თავის თავში არაერთ კომპონენტს მოიცავს. პროფესორ ჯონ მილერის ჯგუფიც მსოფლიოს ქვეყნებში წიგნიერების დონის შესწავლისას წიგნიერების მაჩვენებელს ხუთი სხვადასხვა კატეგორიის 15 ცვლადის მიხედვით ზომავდა. მკვლევართა გუნდი სწავლობდა კონკრეტულ ქვეყნებში ბიბლიოთეკების მდგომარეობას, ქვეყანაში გამომავალი გაზეთების რაოდენობას, ინტერნეტსა და პერსონალურ კომპიუტერებზე ხელმისაწვდომობას და ა.შ., ანუ ყველაფერ იმას, რითიც ქვეყანამ წიგნიერების მაღალ დონეს უნდა მიაღწიოს. კვლევისას PIRLS-ის და PISA-ს (საერთაშორისო კვლევაა, რომელიც მიზნად ისახავს შეაფასოს 15 წლის მოზარდების მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნა და უნარები) საერთაშორისო ტესტების შედეგებიც შეაფასეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველომ 51-ე ადგილი დაიკავა.

წიგნიერების შესახებ კონექტიკუტის უნივერსიტეტის მიერ მომზადებული კვლევის თანახმად, წიგნიერი ქვეყნების რეიტინგში პირველი ადგილი ფინეთს უჭირავს. მას მოსდევს ნორვეგია, ისლანდია, დანია, შვედეთი, შვეიცარია, აშშ, გერმანია, ლატვია, ჰოლანდია. რუსეთი 27-ე ადგილზეა. საქართველოს შემდეგ კი მოდიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ტუნისი, მალაიზია, ალბანეთი, პანამა, ტაილანდი და ა.შ (Miller &McKenna,2016).

ჯონ მილერი მიღებული კვლევის შედეგებს გამოეხმაურა: *„წიგნიერების შეფასება მხოლოდ საერთაშორისო საკითხავი ლიტერატურის სწავლებაში არსებული პროგრესით სრულიად სხვა შედეგს მოიტანდა. ის ამბობს, რომ, მხოლოდ ტესტების შედეგებით შეფასების შემთხვევაში, ოკეანეთის ქვეყნები – სინგაპური, სამხრეთ კორეა, იაპონია და ჩინეთი - რეიტინგის ტოპსიაში იქნებოდნენ, ფინეთი კი იქნებოდა ერთადერთი არაოკეანეთის ქვეყანა, რომელიც სიის დასაწყისში მოხვდებოდა. ხოლო როცა შეფასების კრიტერიუმებს დაემატა ბიბლიოთეკების სიდიდე და ხელმისაწვდომობა, ოკეანეთის ქვეყნების რეიტინგი დრამატულად დაეცა* [Miller &McKenna,2016].“

აღსანიშნავია ის, რომ როგორც მილერის, ასევე PIRLS-ის კვლევების მიხედვით, ფინეთი ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებს წიგნიერების დონის კუთხით. 2015 წელს წიგნიერების დონის დასადგენად ადგილობრივი კვლევა ჩატარდა ფინეთში. კვლევა ეყრდნობოდა PIRLS-ის კვლევის მეთოდს და სწავლობდა სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების წიგნიერების დონეს წაკითხული ტექსტებისა და მათი გააზრების მიხედვით. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მათი შედეგები აღემატებოდა ევროპის ქვეყნის შედეგებს. ფინეთში წიგნიერების საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ 8%-მა აჩვენა, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20%-ია. რაც შეეხება უმაღლეს მაჩვენებლებს, ფინელი სტუდენტების 28%-ს წიგნიერება საშუალოზე ბევრად მაღალია, რაც ევროპის ქვეყნების მონაცემებთან შედარებით ორჯერ მაღალია.[18]

2006 წელს როდნი მარშალმა (Marshall, 2006) ჩაატარა კვლევა,რომელშიც გამოიყენა მის მიერ შექმნილი ინსტრუმენტი. კვლევა ჩატარდა ამერიკის სამხრეთ უნივერსიტეტში. კვლევის მიზანი იყო დაედგინა რამდენად ზომავდა მის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტი სტუდენტების ინფორმაციის კომპეტენციას. მას შემდეგ რაც სტუდენტები აკეთებდნენ საბოლოო ნაშრომის პრეზენტაცია, მარშალი ავსებინებდა მათ კითხვარს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის რომ მათი საბოლოო პრეზენტაციის შედეგები და შევსებული კითხვარიდან მიღებული პასუხები ძლიერ კორელაციაში იყვნენ ერთმანეთთან. ანუ რაც უფრო მაღალ შეფასებას იღებდნენ საბოლოო ფინალურ პრეზენტაციაში სტუდენტი, მით მაღალი იყო მათი წიგნიერების დონე. კვლევის შედეგების მიხედვით, წიგნიერების საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი სტუდენტთა მხოლოდ 19%-მა აჩვენა. [19]

რენი რობსმა და რიჩარდ ფროსტმა (Hobbs & Frost, 2003) ჩაატარეს კვლევა, რის მიხედვითაც იკვლიეს რამდენად ეხმარებოდა სტუდენტებს წიგნიერების სწავლება ინფორმაციის უკეთ გაგებაში. მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი და ორ სხვადასხვა ჯგუფს

[18] Garbe,Ch., Lafontaine,D., Shiel,G. (2015). Literacy in Finlad, country report, Children and Adolescents.
[19] Marshall, R. (2006) . An Instrument To Measure Information Competency. Journal of Literacy and Technology: An Academic Journal

მისცეს ერთი და იგივე დავალება. ერთს ასწავლეს როგორ მოეძიებინათ ინფორმაცია და მეორე ნაწილს პირდაპირ დავალება მისცეს. შედეგები ცხადყოფს, რომ მედიის წიგნიერების სწავლება ხელს უწყობს პოტენციურ უნარ-ჩვევებს, რომლებიც იძლევიან ძირითადი იდეების იდენტიფიცირებას წერილობით, აუდიოსა და ვიზუალურ მედიაში.ასევე გამოიკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. იმ სტუდენტებმა უკეთ შეასრულეს დავალება, ვისაც გავლილი ჰქონდა წიგნიერების გაკვეთილები და მიცემული ჰქონდათ ინსტრუქციები.[20]

ლისაბონის სამიტზე, ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ეკონომიკური წინსვლა და მდგარდი განვითარების ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად მთავარი როლი წიგნიერებას დონის ამაღლებას და განათლებას ეფუძნება. ელენა დელგადოვამ (Delgadova, 2015) ჩაატარა საპილოტე კვლევა სლოვაკეთის უნივერსიტეტში პირველი კურსის სტუდენტებთან. მიზანი იყო შეესწავლათ მათი წიგნიერების დონე, გააზრებისა და კრიტიკული მსჯელობის უნარი აკადემიური ნაშრომების წაკითხვის შემდეგ და გამოევლინათ სტუდენტების სისუსტეები. ზუსტად მსგავსი მეთოდით შეამოწმეს ესპანეთის ორი უნივერსიტეტის სტუდენტების წიგნიერების დონე. ორივე ქვეყნის სტუდენტებს მისცეს ერთი და იმავე სირთულის აკადემიური ნაშრომი მათივე მშობლიურ ენაზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო წიგნიერების დონის შედარება. ემპირიული, ანალიტიკური და შედარებითი კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ სტუდენტები არასაკმარისად იყვნენ მომზადებულები, რომ გაეგოთ აკადემიური ტექსტები. მათ აკლდათ კრიტიკული და ანალიზური აზროვნება.საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ სტუდენტების წიგნიერების დონე დაბალი იყო აღნიშნულ უნივერსიტეტებში.[21]

აღნიშნული კვლევები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილი უჭირავს წიგნიერების კომპეტენციის განვითარებას უმაღლესი განათლების საფეხურზე და როგორია წიგნიერების ხარისხის საერთაშორისო შედეგები.

[20] Hobbs, R., Frost, R. (2003). Measuring the acquisition of media- literacy skills. International Reading Association.
[21] Delgadova,E. (2015). Reading literacy as one of the most significant academic competencies for the university students, Social and Behavioral Sciences ,178 , 48 – 53

1.7.წიგნიერება უმაღლესი განათლების საფეხურზე

ბოიერის კომისისს ანგარიშში-„უმაღლესი განათლების განახლება“-აღნიშნულია იმ სტრატეგიების მნიშვნელობა, რომელიც სტუდენტისაგან მოითხოვს *„მნიშვნელოვანი კითხვის ან კითხვათა ნაკრების ჩამოყალიბების, კითხვებზე პასუხის ძიებისა და შემოქმედებითი კვლევის, შედეგების გაზიარების ფორმების შერჩევის პროცესში აქტიურად ჩართულობას* [Boyer Commission,1998].“[22]

ამ მოთხოვნების მიხედვით შექმნილი კურსები ხელს უწყობს სტუდენტებზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც კვლევა ნორმაა, პრობლემის გადაჭრა ფოკუსი ხდება, ხოლო კრიტიკული აზროვნება ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამგვარი სასწავლო გარემო მოითხოვს წიგნიერების კომპეტენციის მაქსიმალურად განვითარებას. წიგნიერების უნარების განვითარება კიდევ უფრო ამდიდრებს სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სწავლის შესაძლებლობებს, ცოდნის გასაღრმავებლად, გააზრებული კითხვების დასასმელად და კრიტიკული აზროვნების დასახვეწად ისინი ფართოდ იყენებენ მრავალფეროვან საინფორმაციო წყაროებს.

სტუდენტები, რომელთაც განვითარებული აქვთ წიგნიერების კომპეტენცია, კარგად განსაზღვრავენ და აყალიბებენ ინფორმაციის საჭიროებას. ლექტორ-მასწავლებლებთან ერთად მსჯელობენ და მონაწილეობენ დისკუსიაში, თანატოლებთან ჯგუფურ მუშაობასა და სხვა საჭირო ინფორმაციის განსაზღვრისათვის, აყალიბებენ თეზისს და კითხვებს საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით. იკვლევენ ინფორმაციის ზოგად წყაროებს შესასწავლი საკითხის უკეთ გასაცნობად. განსაზღვრავენ ან ცვლიან საჭირო ინფორმაციას უკეთ მართვის მიზნით, განსაზღვრავენ ძირითად კონცეფციებსა და ტერმინებს, რომლებიც აღწერს საჭირო ინფორმაციას. აცნობიერებენ,რომ არსებული ინფორმაცია შესაძლოა გაერთიანდეს საწყის (ორიგინალ) მოსაზრებებთან, ექსპერიმენტთან და/ან ანალიზთან და შესაძლებელია შეიქმნას ახალი ინფორმაცია.

[22] Boyer Commission on Educating Undergraduates in the Research University. (1998) Reinventing Undergraduate Education: A Blueprint for America's Research Universities. *State University of New York, Stony Brook*

წიგნიერი სტუდენტი განსაზღვრავს პოტენციური წყაროების სხვადასხვა ტიპებს და ფორმებს. იცის, როგორ იქმნება, წესრიგდება და ვრცელდება ინფორმაცია ფორმალურად და არაფორმალურად. აცნობიერებს, რომ ცოდნა შესაძლებელია ორგანიზებული იყოს დისციპლინებად, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ შეფასდება ინფორმაცია. განსაზღვრავს სხვადასხვა ფორმატის (მაგ., მულტიმედია, მონაცემთა ბაზა, ვებგვერდი, მონაცემთა ნაკრები, აუდიო/ვიზუალური, წიგნი) პოტენციური რესურსების მნიშვნელობასა და მათ განსხვავებებს. განსაზღვრავს პოტენციური რესურსების დანიშნულებასა და აუდიტორიას (მაგ., პოპულარული და სამეცნიერო, მიმდინარე და ისტორიული). განასხვავებს პირველად და მეორეულ წყაროებს, აცნობიერებს, როგორ იცვლება მათი გამოყენება და მნიშვნელობა სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში. აცნობიერებს, რომ შესაძლოა საჭირო იყოს ინფორმაციის შექმნა თავდაპირველი წყაროების ნედლი მონაცემების საფუძველზე.

წიგნიერი სტუდენტი ითვალისწინებს საჭირო ინფორმაციის მოპოვების დანახარჯებსა და სარგებელს. განსაზღვრავს საჭირო ინფორმაციის მისაწვდომობისა და ადგილობრივი რესურსების ფარგლებს გარეთ ინფორმაციის მოპოვების პროცესის გაფართოების შესახებ აკეთებს არჩევანს. განიხილავს ახალი ენის ან უნარების შესწავლის(მაგ., უცხოური ენების ან ტერმინოლოგიის) აუცილებლობას საჭირო ინფორმაციის თავმოყრის ან მისი კონტექსტის გაგების მიზნით. განსაზღვრავს საჭირო ინფორმაციის მოპოვების რეალისტურ ზოგად გეგმასა და დროს. წიგნიერ სტუდენტს შეუძლია საჭირო ინფორმაციის ბუნებისა და მოცულობის სწორი გაგება, შეფასება და გადაფასება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისთვის რომ სტუდენტმა მომავალში მიაღწიოს საკუთარ მიზნებს, განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები და პოტენციალი, თავი დაიმკვიდროს საზოგადოებაში და გახდეს მისი აქტიური წევრი, ამისათვის იგი წიგნიერების უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს და ქტიურად იყენებდეს მას. საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოს უმაღლეს დაწესებულებებში და როგორია სტუდენტთა წიგნიერების ხარისხი.

კვლევითი ნაწილი

თავი1. კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის ამ ნაწილში უკვე განხილულ ლიტერატურასა და კვლევით მონაცემებზე დაყრდნობით, ჩამოვაყალიბებთ საკვლევ პრობლემებსა და კვლევის ძირითად ჰიპოთეზებს; განხილული იქნება, კვლევის მიზნები და მიზნების მისაღწევად დაგეგმილი ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია და შერჩევა.

კვლევის მიზნები

- ნაშრომის მთავარ მიზანს საქართველოს კერძო და საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტთა წიგნიერების ხარისხის კვლევა წარმოადგენს.
- დადგენა იმისა,არის თუ არა განსხვავება კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს ან ფაკულტეტებს შორის.
- კვლევისათვის საჭირო ინსტრუმენტის ადაპტირება

კვლევის ამოცანები

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოს და უცხო ქვეყნის მაგალითზე;
- საკითხის/პრობლემის განსაზღვრა;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- კვლევა;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანს წარმოადგენს სტუდენტების წიგნიერების ხარისხის დადგენა, ხოლო **ობიექტს** კი კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

ჰიპოთეზები

- საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა წიგნიერების ხარისხი დაბალია.
- საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს წიგნიერების განსხვავებული ხარისხი სტუდენტებში ფაკულტეტების მიხედვით.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ დოკუმენტების ანალიზი(სამაგიდო კვლევა) და კვლევის რაოდენობრივი მეთოდი გამოკითხვა. მიზნობრივად შეირჩა საქართველოს სამი ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თავისუფალი უნივერსიტეტი.

1.1 კვლევის ინსტრუმენტი

ვინაიდან საქართველოში არ მოგვეპოვება დიდი თუ მცირე კვლევა, რომელიც აღწერს წიგნიერების ხარისხს სტუდენტებში, აქედან გამომდინარე, წიგნიერების კომპეტენციის შესაფასებლად შეირჩა აპრობირებული, აშშ-ის ჩიკაგოს აღმოსავლეთ ილინიოსის უნივერსიტეტის პროფესორის როდნი მარშალის კითხვარი.

როდნი მარშალმა 2002 წელს შექმნა ინფორმაციული კომპეტენციის შეფასების ინსტრუმენტი (ICAI), რათა გაეზომა ინფორმაციის კომპეტენტურობა იმ ათ სფეროში, რომლებიც მიიჩნეოდა ადამიანის კომპეტენციისთვის საერთო მნიშვნელობის მქონედ. ესენია: **თემის იდენტიფიცირება; ინფორმაციის საჭიროებების განსაზღვრა; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება(ინფორმაციის მოძიება); ინფორმაციის მიღება და განლაგება; მასმედიის სათანადო გამოყენება; ინფორმაციის შეფასება; ინფორმაციის ორგანიზება და სინთეზი; ინფორმაციის წარდგენა; ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაგება; უკუკავშირის გათვალისწინება და მომავალ პროექტებზე გავრცელება**(Marshall, 2006).

მოცემული კვლევა შედგება 40 დებულებისაგან. დებულებები ჩამოთვლილი ათი სფეროს მიხედვითაა განაწილებული და თითოეული სფერო მოიცავს ოთხ დებულებას. კვლევის მონაწილეებმა უნდა შეაფასონ მოცემული დებულებები 7 ქულიანი სისტემით ლაიკერტის სკალის მიხედვით, სადაც (1) არის „სრულიად არ ვეთანხმები“ , ხოლო (7) – „სრულიად ვეთანხმები“.

პირველი დებულების მიზანია, გაარკვიოს რამდენად შეუძლიათ სტუდენტებს საკვლევი თემის იდენტიფიცირება. ახერხებენ თუ არა შერჩეული ინფორმაციის ტიპისა და რაოდენობის განსაზღვრას, მათ საჭირო ნაწილებად დაყოფას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეული ფაქტორი ოთხი კითხვისგან შედგება. პირველი ფაქტორის კითხვებია: „როცა დავალებად მაქვს კვლევისთვის ან სიტყვისთვის ინფორმაციის მოძიება, თავდაჯერებულად ვსაზღვრავ მოსაძებნ თემას“, „ზოგჯერ თავს დაკარგულად ვგრძნობ, რადგან თემა, რომლის კვლევაც მსურს, არც ისე კარგად მესმის“, „შემიძლია რთულ თემას შევეჭიდო და დავანაწილო უფრო ხელსაყრელ, მარტივ ნაწილებად“, „ალბათ, „დაბნეული“ ყველაზე უკეთ აღწერს ჩემს მდგომარეობას პროექტის დასაწყისში“.

მეორე ფაქტორი განსაზღვრავს თემის და წყაროს მოთხოვნებს. სტუდენტმა უნდა იცოდეს სხვადასხვა ფორმატში არსებული ინფორმაციის ცნობა (ქაღალდი, ელექტრონული, ზეპირი და სხვა) სხვადასხვა წყაროებში (პირველადი და მეორეული) და სხვადასხვა მახასიათებლებით (სუბიექტური, ობიექტური, სავარაუდო და ფაქტობრივი, პოპულარული და სამეცნიერო) გარჩევა. მეორე ფაქტორი აფასებს, რამდენად შეუძლია სტუდენტს შეარჩიოს საინფორმაციო რესურსების ტიპები, რაც შეესაბამება სპეციფიკურ ინფორმაციულ საჭიროებას. მეორე ფაქტორის მიზანია დაადგინოს რამდენად ახერხებს სტუდენტი თავი გაართვას შემდეგ დებულებებს: „როცა დავალებად მაქვს კვლევისთვის ან სიტყვისთვის ინფორმაციის მოძიება, თავდაჯერებულად ვსაზღვრავ მოსაძებნ თემას“, „ზოგჯერ თავს დაკარგულად ვგრძნობ, რადგან თემა, რომლის კვლევაც მსურს, არც ისე კარგად მესმის“, „შემიძლია რთულ თემას შევეჭიდო და დავანაწილო უფრო ხელსაყრელ, მარტივ ნაწილებად“, „ალბათ, „დაბნეული“ ყველაზე უკეთ აღწერს ჩემს მდგომარეობას პროექტის დასაწყისში“.

მესამე ფაქტორის მიზანია დაადგინოს რამდენად კარგად აქვს სტუდენტს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა და უნარ-ჩვევები განვითარებული. სტუდენტმა უნდა შეძლოს უმოკლეს დროში სწორად შეარჩიოს საინფორმაციო რესურსების ტიპები და განსაზღვროს რომელი ფორმა დაეხმარება კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებაში.შეუძლია თუ არა ძიების დავიწროება შესაბამისი ბულების გამოყენებით და ახერხებს თუ არა ინფორმაციის სხვადასხვა ფორმის წარმატებით გამოყენებას. მესამე სფეროს მიზანია გაარკვიოს: „ვიცი, როგორ გავაფართოო ან შევავიწროო ძიება ბულის ოპერატორების („და“, „არა“ ან „ან“) გამოყენებით ან შეკვეცით“, „ადვილია ძიების შედეგების ინტერპრეტაცია“, „დარწმუნებული არ ვარ როგორ უნდა გამოვიყენო ინდექსი (მაგ., კატალოგი, მონაცემთა ბაზა და სხვ.)“. „თავდაჯერებულად შემიძლია წვდომა საჭირო მასალებზე (ბეჭდვა, ელ–ფოსტა, ბიბლიოთეკის აბონემენტი და სხვ.)“.

მეოთხე ფაქტორი მოიცავს საჭირო ინფორმაციის განთავსებისა და მოძიების უნარებს. მისი მიზანია გაარკვიოს, რამდენად შეუძლია სტუდენტს ბიბლიოთეკაში მასალების ორგანიზება, ახერხებს თუ არა ინტერნეტბიბლიოთეკის გამოყენებას.რამდენად შეუძლია გაერკვიოს საკანონმდებლო დოკუმენტაციაში და შეუძია თუ არა იქიდან აზრის გამოტანა. ფაქტორის დებულებები მოიცავს:“მესმის ბიბლიოთეკაში მასალების ორგანიზება. (ან ორგანიზების წესი)“, „საკანონმდებლო დოკუმენტები ჩემთვის ბუნდოვანია (დამაბნეველია)“, „ვებძიების სისტემები არასაიმედოა“, „ვიცი განსხვავება რეზიუმესა (აბსტრაქტსა) და სტატიას შორის“.

მასმეედიის სათანადო გამოყენების ცოდნა, მეხუთე ფაქტორის მიზანს წარმოდგენს. მისი მიზანია დაადგინოს, რამდენად შეუძლია სტუდენტს მასმედიის სათანადო გამოყენება, შეუძლია თუ არა მიღებული ინფორმაციის გაფილტვრა და თემისათვის საჭირო ინფორმაციის (ბეჭდური, ვიდეო, ფოტოგრაფია და სხვა.) გამოყენება. მეხუთე ფაქტორის დებულებები ეხება იმის განსაზღვრას რამდენად ახერხებს სტუდენტი მასმედიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში შეცდომების, უზუსტობების და სხვათა

გარჩევას. „ზოგჯერ ვერ ვიგებ ვისთვის არის განკუთვნილი ინფორმაცია“, „შემიძლია თავდაჯერებულად გამოვიყენო მედიის მრავალი სხვადასხვა ფორმა (ბეჭდური, ვიდეო, ფოტოგრაფია და სხვ.)“ინფორმაციის სახით ჩემი თემისთვის“, „ზოგჯერ ინფორმაციის მწარმოებელი (შემქმნელი) ბუნდოვანია“, „თავდაჯერებულად შემიძლია უზუსტობის, შეცდომისა და სხვათა გარჩევა მასმედიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში“.

შემდეგი ფაქტორი ინფორმაციის შეფასებას ეხება. ერთია თუ როგორ შეძლებს სტუდენტი ინფორმაციის პოვნას და მეორე რამდენად სწორად შეაფასებს მის სანდოობას. განსაზღვრავს მის ვალიდურობასა და სტაბილურობას. სტუდენტმა კრიტიკული თვალსაზრისით უნდა შეაფასოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. უნდა შეძლოს წყაროს შესაბამისობის იდენტიფიცირება ინფორმაციასთან.მეექვსე ფაქტორი მიზნად ისახავს შემდეგი დებულებების მიხედვით შეამოწმოს, რამდენად შეუძლია სტუდენტს ინფორმაციის სწორად შეფასება. „ნაპოვნი ინფორმაცია იმდენად დამაბნეველია, არ ვიცი, გამოვიყენებ თუ არა“, „არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია ზუსტია“, „ინფორმაცია, რომელსაც ვიყენებ სრულყოფილი და საიმედოა“, „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია პასუხობს ან ეხება ჩემს თემას“.

მეშვიდე ფაქტორში მნიშვნელოვანია ინფორმაციის ორგანიზება და სინთეზი. სტუდენტმა უნდა შეეძლოს მიღებული ინფორმაციის შეჯამება, იდეებისა და კონცეფციების სინთეზი და შეიმუშავოს ლოგიკური არგუმენტი მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე. მოცემული სფეროსთვის განკუთვნილია შემდეგი დებულებები: „ჩემ მიერ ნაპოვნი ინფორმაციიდან ბევრი არარელევანტურია ან არასაჭირო“, „ინფორმაციის თავმოყრის შემდეგ ადვილია მისი დახარისხება მსგავსი შინაარსის მიხედვით“, „ზოგჯერ ჩემი კითხვა (საკვლევი საკითხი) იცვლება იმის მიხედვით, რა ინფორმაცია ვიპოვე“, „თუ ჩემი თემატური ნარკვევიდან აზრის გამოტანა ჭირს, იმედგაცრუებული ვარ“.

მერვე ფაქტორში შემავალი დებულებების მიზანია დაადგინოს, რამდენად აქვს სტუდენტს ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევები გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება (სლაიდი, ვიდეო, პლაკატი და სხვა.) კონკრეტული ინფორმაციის

მისაწოდებლად. რამდენად იცნობს აუდიტორიას და რამდენად არის იმაში დარწმუნებული, რომ მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია აუდიტორიის მოთხოვნების შესაბამისია: „დარწმუნებული არ ვარ კომუნიკაციის რომელი საშუალებაა (სლაიდი, ვიდეო, პლაკატი და სხვ.) შესატყვისი კონკრეტული ინფორმაციის მისაწოდებლად“, „ვიცი ჩემი აუდიტორია და ისიც, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მათი მოთხოვნების შესაბამისია“, „ზოგჯერ ეჭვი მიჩნდება იმის შესახებ, თუ რატომ ვიზიარებ კონკრეტულ ინფორმაციას“, „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ინფორმაცია ნათლად და დამაჯერებლად არის წარდგენილი“.

მეცხრე ფაქტორი აერთიანებს კითხვებს, რომელთა მიზანია, გაარკვიოს რამდენად აქვს ცოდნა სტუდენტს ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების შესახებ. რამდენად აქვს ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ მოიყვანოს სათანადოდ წყაროები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიყენა, რამდენად იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას. ესმის თუ არა ცენზურასთან დაკავშირებული საკითხები, აზრის თავისუფლება და რამდენად სცემს პატივს განსხვავებულ ნააზრევს: “დარწმუნებული არ ვარ, როგორ უნდა ჩავწერო ან მივუთითო წყაროები”, “მაქვს კითხვები მიღებული ინფორმაციის პრივატულობის (კონფიდენციალურობის) შესახებ”, “შემიძლია განვსაზღვრო, როდის არის ინფორმაცია მიკერძოებული”, “ვიცი, რომ კონფიდენციალური მასალა არ უნდა გამოვიყენო”.

საბოლოო, მეათე ფაქტორი, უკუკავშირების მომავალი პროექტებისათვის გამოყენებას ეხება. სტუდენტმა უნდა შეეძლოს პროცესში თითოეული ნაბიჯის ეფექტურობის გაზომვა, რაც პროექტის მიმდინარე პროცესს და შემდგომ შედეგს გააუმჯობესებს. ამ სფეროსთვის დამახასიათებელი დებულებებია: „პროექტის მომზადებისას, ვიცი როგორ მიიღებენ მას სხვები“, „უკუკავშირი ჩემთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს“, „შემიძლია ვისწავლო, რა პროცესები იქნება სასარგებლო მომავალში ინფორმაციის მოსაძიებლად“, „ინფორმაციის წარდგენის შემდეგ არ ვარ დარწმუნებული, როგორ მიიღო ის მსმენელმა“.

1.2. ICAI -ის ადაპტაცია

ტესტების თარგმნისა და კროს-კულტურული ადაპტაციის საერთაშორისო ინსტრუქციის (Bartrum, 2000; Beaton, et. al., 2000; International Test Commission, 2010) მიხედვით[23], საზომი ინსტრუმენტის ქართულენოვანი ვერსიის შექმნისათვის ორიგინალმა ინსტრუმენტმა სასურველია გაიაროს სამი საფეხური: (1) თარგმანი და ლინგვისტური ვალიდაცია, (2) სკალის ფაქტორული სტრუქტურის შემოწმება, (3) ნორმატიული მაჩვენებლების დადგენა. აღსანიშნავია ის, რომ ადაპტაციის დროს, ყველა საფეხურის გავლა არაა საჭირო. ეს დამოკიდებულია კვლევის ინსტრუმენტსა და საკვლევ თემაზე.

იმისთვის, რომ კვლევის ინსტრუმენტი მორგებოდა ქართულ რეალობას, ამისათვის პირველ ამოცანას ორიგინალური ინსტრუმენტის ანალოგიური ქართული ინსტრუმენტის შექმნა წარმოადგენდა. როდნი მარშალის (2002) ორიგინალური ინსტრუმენტის ადაპტაცია რამდენიმე ეტაპს მოიცავდა: თარგმანი, უკუთარგმანი, *შედარება და პილოტი.*

1. ინსტრუმენტის თარგმანი: თავდაპირველად მომზადდა როდნი მარშალის (2002) კვლევაში გამოყენებული კითხვარის ორი დამოუკიდებელი თარგმანი (თ1 და თ2). თარგმანი შეასრულა ორმა მთარგმნელმა, რამაც გაამარტივა თითოეული ფაქტორის ნიუანსის აღქმა და კითხვარში შემავალი 40 დებულების გააზრება.

2. კითხვარის თარგმანის განხილვა: შემდგომი ეტაპი მოიცავდა ინგლისური ენის მცოდნე ადამიანთან ერთად არსებული ქართული თარგმანის ერთობლივ შეფასებას. დებულებების სათითაოდ განხილვას შინაარსობრივი ნიუანსების წვდომისა და დებულების ორაზროვნების ან ბუნდოვანების აღმოფხვრას.

---

[23] Bartrum, D. (2000). International Guidelines for Test Use. Belgium: : International Test Commission.
6. Beaton, D. E., Bombardier, C., Guillemin, & Ferraz, M. B. (2000). Guidelines for the process of cross-cultural adaptation of self-report measures. SPINE, vol. 25 (24), 3186-3191.

3. კითხვარის შინაარსობრივი და ენობრივი რედაქცია: ამ ეტაპზე შეჯერდა მიღებული შეფასებები, გათვალისწინებულ იქნა არსებული ნიუანსები და შეიქმნა კითხვარის ,,განახლებული“ ვარიანტი.

4. კითხვარის უკუთარგმანი: წინა ეტაპის შედეგად მიღებული ქართული ტესტი ქართულიდან ინგლისურად ითარგმნა.უკუთარგმანი ყველა იმ განსხვავების აღმოჩენას ისახავდა მიზნად, რაც ორიგინალის ქართულად თარგმნისას შეიძლება გაჩენილიყო. უკუთარგმანი შეასრულა ინგლისური ენის სპეციალისტმა, რომელსაც არ ჰქონდა წინასწარი ინფორმაცია სათარგმნი ტექსტის შინაარსზე.

5. კითხვარის ორიგინალი ინგლისური ვერსიისა და უკუთარგმანის შედეგად მიღებული კითხვარის შედარება: შედარდა ტესტის ორიგინალი კითხვარის თითოეული დებულება უკუთარგმანის შედეგად მიღებულ დებულებას. ორიგინალი და უკუთარგმნილი კითხვარები ერთმანეთს შეადარა მანუელ ლიმანსკიმ, რომლისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა. შედარებისას მან გამოთქვა რამდენიმე მცირე შენიშვნა, რომელიც კითხვარის საბოლოო ვარიანტში იქნა გათვალისწინებული.

6. ინსტრუმენტის პილოტირება: საბოლოოდ პილოტირებისთვის მომზადდა კითხვარი, რომელიც წარმოადგენს ორიგინალი ინგლისური კითხვარის ანალოგს და, რომელზეც ასევე დატანილი იყო კვლევისთვის საჭირო დემოგრაფიული მონაცემების შესაბამისი გრაფები. პილოტირება შემდეგ მიზანს ემსახურებოდა. შემოწმებულიყო რამდენად გასაგები და ნათელი იყო აღნიშნული ინსტრუმენტი. პილოტირებისთვის შეირჩა მაგისტრატურის საფეხურის 15 სტუდენტი, რომლებმაც ინტერვიუერის დახმარებით ადგილზე შეავსეს კითხვარი და მოხდა მათგან უკუკავშირის მიღება.

1.3. ICAI-ის ადაპტირებული ვარიანტის ფსიქომეტრული მახასიათებლები: სანდოობა, ქვესკალებს შორის კორელაცია, ფაქტორული ანალიზი

ინფორმაციული კომპეტენციის შეფასების ინსტრუმენტის (ICAI) ადაპტირებული ვარიანტის ფსიქომეტრული მახასიათებლები: სანდოობა, დებულებებს შორის კორელაცია. ფაქტორული ანალიზი კვლევის ინსტრუმენტის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. სანდოობა- აფასებს რამდენად კონსისტენტურია ინსტრუმენტი კონკრეტული კონსტრუქტის გაზომვისას და რამდენად ზუსტად ზომავს ის ამ კონსტრუქტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტესტი სანდოა თუ მას აქვს მსგავსი შედეგები განმეორებითი ადმინისტრირების შემთხვევაში. სანდოობის ხარისხის დასადგენად რამდენიმე საშუალება გამოიყენება, ესენია ტესტი-რეტესტი, ალტერნატიული ფორმა და შინაგანი შეთანხმებულობა (კონსისტენტურობა). თითოეულისთვის არსებობს სხვადასხვა სტატისტიკური საშუალება, რომლითაც შესაძლებელია ტესტის სანდოობის კოეფიციენტის გამოთვლა. ICAI -ის ადაპტირებული ვარიანტის სანდოობა შეფასდა ე.წ. შინაგანი შეთანხმებულების მეთოდით კრონბახის ალფა კოეფიციენტის გამოყენებით.

კრონბახის ალფა დებულებებს შორის კორელაციების კოეფიციენტს ითვლის, ანუ, ესაა თითოეული დებულების კორელაცია ყველა სხვა დანარჩენი დებულების ჯამთან. ის დებულებებს შორის შინაგანი შეთანხმებულობის საზომია (და არა, მაგალითად, ადამიანებს შორის). ეს არის საშუალო კორელაცია ყველა საკვლევ დებულებას შორის და იგი მრავალდებულებიანი სკალებისთვის გამოიყენება.

საპილოტე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სტატისტიკურ პროგრამაში SPSS-ში შემოწმდა, როგორც მთლიანი ინსტრუმენტის, ასევე თითოეული ფაქტორის სანდოობის კოეფიციენტი.

ორიგინალი ინფორმაციული კომპეტენციის შეფასების ინსტრუმენტის (ICAI) სკალის სანდოობის კოეფიციენტი (კრონბახის ალფა) 0.88ს წარმოადგენდა.

კითხვარის ორიგინალ ვარიანტში პასუხები ლაიკერტის შვიდ ბალიან სკალაზეა განლაგებული (1=სრულიად ვეთანხმები; 7=სრულიად არ ვეთანხები).

ჩვენი შერჩევის მიხედვით (N=270), კითხვარში შემავალი ცალკეული ფაქტორების ისევე, როგორც მთლიანად კითხვარის სანდოობის მაჩვენებელი (კრონბახის კოეფიციენტი) მაღალია. მთლიანად ინფორმაციული კომპეტენციის შეფასების ინსტრუმენტის (ICAI) α=0.84.

ინსტრუმენტის ცალკეულ სკალებზე სანდოობის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა. თემის იდენტიფიცირება (α =0 .76),წყაროს საჭიროებების განსაზღვრა(α=0.77), ინფორმაციის სინთეზი და ორგანიზება(α = 0.81), ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაგება(α=0.91). ხოლო ზოგიერთ ფაქტორზე საშუალო: ინფორმაციის განლაგება და აღდგენა(α =0.56), ინფორმაციის შეფასება (α = 0.63) ,,მასმედიის სათანადო გამოყენება(α=0.72), ინფორმაციის წარდგენა (α=0.73), უკუკავშირის გათვალისწინება და სხვა პროექტებზე გავრცელება(α =0 .62).

ცხრილი № 1. ფაქტორებს შორის სანდოობის მაჩვენებელი

ფაქტორები	ქართული ადაპტირებული ტესტის კრონბახის ალფა კოეფიციენტი N=270	
	დებულების რაოდენობა	ალბა კოეფიციენტი
თემის იდენტიფიცირება	4	0.76
წყაროს საჭიროებების განსაზღვრა	4	0.77
საჭირო ინფორმაციის მოძებნის ცოდნა	4	0.74
ინფორმაციის განლაგება და აღდგენა	4	0.56
ინფორმაციის შეფასება	4	0.63
ინფორმაციის სინთეზი და ორგანიზება	4	0.81
ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტი-კური საკითხების გაგება	4	0.91
მასმედიის სათანადო გამოყენება;	4	0.72
ინფორმაციის წარდგენა;	4	0.73
უკუკავშირის გათვალისწინება და სხვა პროექტებზე გავრცელება	4	0.62

თავი 2. კვლევის შედეგები და ანალიზი

2.1.ემპირიული კვლევის შედეგების აღწერა

ნაშრომის ამ ნაწილის მიზანია ჰიპოთეზების შემოწმება, მიღებული შედეგების აღწერა და ანალიზი. იმის დადგენა თუ რამდენად გაეცა პასუხი არსებულ კითხვებს, რა შედეგებია დღეს საქართველოს კერძო და სახელმწიფო უნივერისტეტების სტუდენტებში წიგნიერების დონის კუთხით, არსებობს თუ არა განსხვავება სქესის, ასაკის, უნივერისტეტებისა და ფაკულტეტების მიხედვით.

კვლევა ჩატარდა ადაპრებული და ქართულ რეალობაზე მორგებული კითხვარის მიხედვით, რომელიც მოიცავს 10 სფეროს და აერთიანებს 40 დებულებას.

- თემის იდენტიფიცირება: 1, 2, 3, 4
- ინფორმაციის საჭიროებების განსაზღვრა: 5, 6, 7, 8
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება(ინფორმაციის მოძიების ცოდნა): 9, 10, 11, 12
- ინფორმაციის მიღება და განლაგება: 13, 14, 15, 16
- მასმედიის სათანადო გამოყენება: 17, 18, 19, 20
- ინფორმაციის შეფასება; 21, 22, 23, 24
- ინფორმაციის ორგანიზება და სინთეზი: 25, 26, 27, 28
- ინფორმაციის წარდგენა: 29, 30, 31, 32
- ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაგება: 33, 34, 35, 36
- უკუკავშირის გათვალისწინება და მომავალ პროექტებზე გავრცელება: 37, 38, 39, 40

შერჩევის აღწერა და კვლევის პროცედურა

რესპონდენტების შერჩევა ჩატარდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით. კვლევაში მონაწილეობისთვის შეირჩა საქართველოს სამი ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტი: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თავისუფალი უნივერსიტეტი. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სულ შეირჩა 270 მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტი, რომელთა რაოდენობა შემდეგნაირადაა განაწილებული.



ილუსტრაცია №1.რესპოდენტთა განაწილება კურსის მიხედვით

კვლევის მიზნიდან გამომდინარე შეირჩა სამი ფაკულტეტი, რომლებიც ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად უნდა უწყობდნენ ხელს წიგნიერების უნარების განვითარებას სტუდენტებში. ესენი: სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების ფაკულტეტი და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი. თითოეული ფაკლტეტიდან შეირჩა 30 სტუდენტი, შესაბამისად თითოეული უნივერსიტეტიდან გამოკითხულ იქნა ჯამში 90 სტუდენტი.



ილუსტრაცია №2. რესპოდენტთა განაწილება ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტების მიხედვით

კვლევაში მონაწილე გამოკითხულთა ასაკი 18-დან 26 წლამდე ვარირებდა. რესპონდენტთა განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია ცხრილიში.

ცხრილი №2. რესპონდენტთა განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

		ასაკი									ჯამი
		18	19	20	21	22	23	24	25	26	
სქესი	მდედრობითი	14	24	31	34	31	20	0	1	6	161
	განაწილება(%)	8.7%	14.9%	19.3%	21.1%	19.3%	12.4%	0.0%	0.6%	3.7%	100.0%
	ასაკი(%)	93.3%	61.5%	60.8%	51.5%	58.5%	66.7%	0.0%	50.0%	66.7%	59.6%
	ჯამი(%)	5.2%	8.9%	11.5%	12.6%	11.5%	7.4%	0.0%	0.4%	2.2%	59.6%
	მამრობითი	1	15	20	32	22	10	5	1	3	109
	განაწილება(%)	0.9%	13.8%	18.3%	29.4%	20.2%	9.2%	4.6%	0.9%	2.8%	100.0%
	ასაკი(%)	6.7%	38.5%	39.2%	48.5%	41.5%	33.3%	100.0%	50.0%	33/3%	40.4%
	ჯამი(%)	0.4%	5.6%	7.4%	11.9%	8.1%	3.7%	1.9%	0.4%	1.1%	40.4%

ჯამი	სქესი	15	39	51	66	53	30	5	2	9	270
	განაწილება(%)	5.6%	14.4%	18.9%	24.4%	19.6%	11.1%	1.9%	0.7%	3.3%	100.0%
	ასაკი(%)	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
	ჯამი(%)	5.6%	14.4%	18.9%	24.4%	19.6%	11.1%	1.9%	0.7%	3.3%	100.0%

რაც შეეხება მონაწილეთა განაწილებას დემოგრაფიული მახასიათებლის მიხედვით, გამოკითხულთაგან 101-მა რესპოდენტმა დაამთავრა სკოლა თბილისში, ხოლო დანარჩენმა მათგანმა ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.



ილუსტრაცია №3. რესპოდენტთა განაწილება თბილისსა და რეგიონების მიხედვით

მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების აკადემიური მოსწრება. იქიდან გამომდინარე, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შეფასება ქულების საშუალო მაჩვენებელში აქვს, ხოლო თსუ-სა და თავისუფალ უნივერსიტეტს ქულათა საშუალო GPA (Grand Point Average - საშუალო შეწონილი ქულა)-ის სახით აქვთ მოცემული, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქულათა სისტება, GPA-ის მაჩვენებლით შეგვეცვალა.

ცხრილი №3.

შეფასება	**GPA**
51-60	0.5
61-70	1
71-80	2

81-90	3
91-100	4

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა უმრავალესობას მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს.



ილუსტრაცია №4. რესპონდენტთა განაწილება აკადემიური მოსწრების (GPA) მიხედვით

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს უფრო მაღალი საშუალო ქულები აქვთ, ვიდერე მამრობითი სქესის წარმომადგენლეს.



ილუსტრაცია №5. რესპოდენტთა განაწილება სქესისა და აკადემიური მოსწრების(GPA)მიხედვით

2.2. კვლევის შედეგების აღწერა

თემის იდენტიფიცირება. კვლევის პირველი ფაქტორი თემის იდენტიფიცირებას ეხება, ანუ იმის განსაზღვრას, რამდენად კარგად ახერხებს სტუდენტი მოცემული საკითხის სწორად გაგებასა და გააზრებას.

დებულებაზე „როცა დავალებად მაქვს კვლევისათვის ან პრეზენტაციისთვის ინფორმაციის მოძიება, თავდაჯერებულად ვსაზღვრავ მოსაძებნ თემას“, სრულიად ეთანხმება გამოკითხულთა 30.4%, არ ეთანხმება 14.7%, ნეიტრალურია 54.9% , თუკი ნეიტრალურად განწყობილის მაჩვენებელს დავუმატებთ „არ ვეთანხმების“ მაჩვენებელს, აღმოჩნდება, რომ მათი უმრავლესობა, 69.6% ვერ ერკვევა საკითხში, რასაც ასევე ადასტურებს მეორე, მესამე და მეოთხე დებულებების რაოდენობრივი მაჩვენებელი. გამოკითხულთა 26%-ს ესმის თემა რომლის კვლევაც სურს, 55.9%-ს შეუძლია რთული თემა

დაყოს მარტივ ნაწილებად და 38.9%-ისთვის სიტყვა „დაბნეული“ ყველაზე კარგად ასახავს მის მდგომარეობას პროექტის დასაწყისში.

საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად საჭიროდ მივიჩნიეთ თითოეულ ფაქტორში შემავალი ოთხივე დებულების შეკრება და საერთო ქულის მიღება, რაც უფრო ნათელს გახდის კვლევის შედეგებს. თითოეული სკალის მაჩვენებელი დადებითად და უარყოფითად ფორმულირებულ დებულებებზე გაცემული პასუხების შესატყვისი ქულების დაჯამებით მიიღება, შესაბამისად თავდაპირველად მოხდა, კითხვების შებრუნება და შემდეგ თითოეული ფაქტორის ჯამური ქულის დათვლა. წიგნიერების ჯამური მაჩვენებლის მისაღებად კი ცალკეული ფაქტორების ჯამური ქულების შეკრება გახდა საჭირო. სტუდენტების წიგნიერების მაჩვენებელი ფაქტორებისა და მთლიანი წიგნიერების საშუალო ქულის მიხედვით კი ასეა გადანაწილებული.

საშუალოზე დაბალი (<4.25)

საშუალო (4.26-6.25)

მაღალი (>6.26)

არსებული მონაცემების საფუძველზე, პირველი ფაქტორის (M= 4.9. SD=1.3) მიხედვით, გამოკითხულთა 34.8%-მა საშუალოზე დაბალი შედეგები აჩვენეს. კვლევის შედეგების მიხედვით, ისინი ვერ იგებენ საკვლევი თემის თუ საკითხის შინაარსს და უჭირთ მის არსში გარკვევა. რაც შეეხება საშუალო მაჩვენებელს, გამოკითხულთა 51.1% ახერხებს ჩაწვდეს საკვლევი თემის შინაარსს, თუმცა ბოლომდე ვერ იაზრებენ მის არსს, მარტივად ვერ საზღვრავენ თუ რა სახის და რაოდენობის ინფორმაცია სჭირდებათ საკითხის შესასწავლად.

იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც თავდაჯერებულობას გრძნობენ საკვლევი თემის იდენტიფიცირებისას, ესმით თემის არსი, შეუძლიათ მისი დანაწევრება მარტივ ნაწილებად და აღარ განიცდიან თემის ბუნდოვანების გამო დაბნეულობას, ასეთი რესპონდენტების რაოდენობა 14.1%-ია.

ცხრილი №4. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება პირველი ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.50	2	0.7	0.7
2.75	1	0.4	1.1
3.00	43	15.9	17.0
3.25	3	1.1	18.1
3.50	14	5.2	23.3
3.75	4	1.5	24.8
4.00	9	3.3	28.1
4.25	18	6.7	34.8
4.50	18	6.7	41.5
4.75	19	7.0	48.5
5.00	15	5.6	54.1
5.25	14	5.2	59.3
5.50	15	5.6	64.8
5.75	13	4.8	69.6
6.00	21	7.8	77.4
6.25	23	8.5	85.9
6.50	10	3.7	89.6
6.75	7	2.6	92.2
7.00	21	7.8	100
ჯამი	270	100	

წყაროს საჭიროებების განსაზღვრა. კვლევის მეორე ფაქტორი მიზნად ისახავდა გაერკვია რამდენად შეუძლია სტუდენტს სხვადასხვა ფორმატში არსებული ინფორმაციის ცნობა (მიკროფორმა,ქაღალდი, ელექტრონული, ზეპირი და სხვა) სხვადასხვა წყაროებში (პირველადი და მეორეული) და სხვადასხვა მახასიათებლებით (სუბიექტური, ობიექტური, სავარაუდო და ფაქტობრივი, პოპულარული და სამეცნიერო). სტუდენტმა უნდა შეძლოს და შეარჩიოს შესაბამისი საინფორმაციო რესურსების ტიპები, რაც ინფორმაციის მოძიებისთვისაა საჭირო. გაარკვიოს რომელი ინფორმაციაა მისთვის სასარგებლო და რომლის გამოყენებას შეძლებს შემდგომში პროექტისა თუ ნაშრომის მომზადებისთვის. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა, 57,4% მიიჩნევს, რომ იცის განსხვავება „პირველად“ და „მეორეულ“ ინფორმაციას შორის. ხოლო 48.1%-ისთვის

დამაბნეველია ინფორმაციის სხვადასხვა ფორმატები. გამოკითხულთა მხოლოდ 5.6%ია ბოლომდე დარწმუნებული რა რაოდენობის ინფორმაცია სჭირდებათ არსებული დავალებისა თუ კვლევის შესასრულებლად. აღსანიშნავია ის, რომ გამოკითხულთა უმრავლესობისთვის 43.3%-ისთვის, მარტივია მოძიებული ინფორმაციის გამოყენება.

აღნიშნული ფაქტორის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით(M=5.2, SD=1.38), საშუალოდ გამოკითხულთა 49.4%-ს პროცენტს შეუძლია წყაროს საჭიროების განსაზღვრა. 25.9% ვერ ახერხებს სწორად განსაზღვროს ინფორმაციის საჭიროება, შეაფასოს „პირველადი“ და „მეორეული“ ინფორმაცია, ისინი ვერ ახერხებენ მოძიებული ინფორმაციის სწორად გამოყენებას. რაც შეეხება 24.7%-ისთვის, მარტივია ინფორმაციის არსში გარკვევა, სხვადასხვა ფორმატის ტექსტის გაგება და მოძიებულის გამოყენება.

ცხრილი №5. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეორე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.50	22	8.1	8.1
2.75	20	7.5	15.6
3.00	1	0.4	15.9
3.25	3	1.1	17.0
3.50	4	1.5	18.5
3.75	1	0.4	18.9
4.00	11	4.1	23.0
4.25	8	3.0	25.9
4.50	9	3.3	29.3
4.75	11	4.1	33.3
5.00	9	3.3	36.7
5.25	23	8.5	45.2
5.50	15	5.6	50.7
5.75	28	10.4	61.1
6.00	30	11.1	72.2
6.25	11	4.1	76.3
6.50	19	7.0	83.3
6.75	20	7.4	90.7
7.00	25	9.3	100.0
ჯამი	270	100.0	

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება (ინფორმაციის მოძიების ცოდნა). კვლევის ჩატარებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა მესამე სფეროს წარმოადგენს. მესამე ფაქტორის მიზანია, გაარკვიოს, რამდენად შეუძლია სტუდენტს შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება და დაგეგმვა, რომელიც კონკრეტული თემის კვლევისთვისაა საჭირო. რამდენად ახერხებს სტუდენტი, საძიებო ტექნიკებისა და ინსტრუმენტების (მაგალითად, ბულის ოპერატორები და სიმბოლოები, მსაზღვრელები და შემოკლება) გამოყენებას, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია ძიების სწორად წარმართვისათვის, ზუსტი ინფორმაციის მიღებისა და დროის დაზოგვისთვის.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 27.8%-მა არ იცის როგორ გამოიყენოს ინდექსი ან როგორ დაავიწროოს ძიება (22.3%) შესაბამისი ოპერატორების გამოყენებით, რათა მიაღწიოს სასურველ შედეგს. რაც შეეხება შედეგების ინტერპრეტაციასა და დახარისხებას, 33.4% თანხმდება, რომ ეს საქმე არც მარტივია და არც რთული, მხოლოდ 15.5%-ისთვისაა შედეგების ინტერპრეტაცია მარტივი.

რაც შეეხება მესამე ფაქტორის საშუალო ქულებს (M=4.9, SD=1.3), სტუდენტთა საჭირო ინფორმაციის მოძიების ცოდნა და უნარ-ჩვევები ამ შემთხვევაშიც არ გამოირჩევა მაღალი მაჩვენებლებით. კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა 30.4%-ს არ აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები მოიძიოს საჭირო ინფორმაცია და გამოიყენოს არსებული რესურსები. 57.4%-მა საშუალო მაჩვენებელი დააფიქსირა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ ბოლომდე არ აქვთ შესაბამისი უნარები განვითარებული, რაც დაეხმარებათ სასურველი ინფორმაციის მიღებაში. ხოლო დარჩენილი 12.2% ადვილად ახერხებს საჭირო ინფორმაციის მოძიებას, იცის როგორ გააფართოვოს ან დაავიწროოს ძიება, როგორ გამოიყენოს ინდექსი და როგორ მოახდინოს ძიების შედეგების ინტერპრეტაცია.

ცხრილი №6. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მესამე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.00	1	0.4	0.4
2.25	1	0.4	0.7
2.75	41	15.2	15.9

3.25	3	1.1	17.0
3.50	8	3.0	20.0
3.75	9	3.3	23.3
4.00	8	3.0	26.3
4.25	11	4.1	30.4
4.50	11	4.1	34.4
4.75	16	5.9	40.4
5.00	23	8.5	48.9
5.25	16	5.9	54.8
5.50	39	14.4	69.3
5.75	10	3.7	73.0
6.00	25	9.3	82.2
6.25	15	5.6	87.8
6.50	9	3.3	91.1
6.75	4	1.5	92.6
7.00	20	7.4	100.0
ჯამი	270	100.0	

ინფორმაციის მიღება და განლაგება. მეოთხე ფაქტორი მოიცავს საჭირო ინფორმაციის განთავსებისა და მოძიების უნარებს. რაც გულისხმობს არა მხოლოდ ბიბლიოთეკის შესაბამისად გამოყენების ცოდნას, არამედ სხვადასხვა უცხოური მასალის მოძიების ცოდნას, საკანონმდებლო დოკუმენტებში გარკვევის უნარ-ჩვევებს, ვებძიების სისტემების ეფექტურ გამოყენებას. წინა ფაქტორთან შედარებით, თუ სტუდენტებს არ აქვთ შესაბამისი უნარები, იმის შესახებ თუ როგორ მოიძიონ ინფორმაცია ელექტრონული რესურსების გამოყენებით, მათი უმრავლესობა,37.8% კარგად ართმევს თავს ბიბლიოთეკაში მასალების ორგანიზებას, თუმცა უმეტესი მათგანისთვის, 25.2%-ისთვის საკანონმდებლო დოკუმენტებში გარკვევა მაინც პრობლემას წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა უმეტესობა არ ენდობა ვებძიების სისტემებს, შესაბამისად ჩნდება ვარაუდი, რომ სწორედ ამიტომ არ აქვთ ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარ-ჩვევები განვითარებული.

ფაქტორის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით(M=4.8, SD=1.1), სტუდენტთა 32.2 % საშუალო ზღვარს ქვემოთაა, ანუ მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ ინფორმაციის

განლაგება და აღდგენა, 60% საშუალო დონეზე ახერხებს ინფორმაციაში გარკვევას, ხოლო 7.8% მაღალ დონეზე ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს.

ცხრილი №7. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეოთხე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.00	1	0.4	0.4
2.25	2	0.7	1.1
2.75	1	0.4	1.5
3.00	1	0.4	1.9
3.25	45	16.7	18.5
3.50	4	1.5	20.0
3.75	9	3.3	23.3
4.00	15	5.6	28.9
4.25	9	3.3	32.2
4.50	23	8.5	40.7
4.75	14	5.2	45.9
5.00	17	6.3	52.2
5.25	39	14.4	66.7
5.50	19	7.0	73.7
5.75	25	9.3	83.0
6.00	9	3.3	86.3
6.25	16	5.9	92.2
6.50	13	4.8	97.0
6.75	6	2.2	99.3
7.00	2	0.7	100.0
ჯამი	270	100.0	

მასმედიის სათანადო გამოყენება. აღნიშნული ფაქტორის მიზანია შეაფასოს რამდენად შეუძლია სტუდენტს მასმედიის სათანადო გამოყენება, რამდენად შეუძლია მიღებული ინფორმაცის გაფილტვრა და თემისათვის საჭირო ინფორმაციის (ბეჭდური, ვიდეო, ფოტოგრაფია და სხვა.) გამოყენება. მეხუთე ფაქტორის დებულებები ეხება იმის განსაზღვრას რამდენად ახერხებს სტუდენტი მასმედიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში შეცდომების, უზუსტობების და სხვათა გარჩევას.

ჯამური მაჩვენებლის მიხედვით (M=4.5 SD=0.9), გამოკითხული სტუდენების 49.6% საშუალოზე დაბლაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ არ აქვთ შესაბამისი ცოდნა, თუ როგორ უნდა განსაზღვრონ ინფორმაციის წყარო, ვერ იგებენ ვისთვის არის განკუთვნილი შესაბამისი ინფორმაცია. გამოკითხულთა 46.7%-ის პასუხების საშუალოს მიხედვით, შეუძლიათ ინფორმაციის გაგება, თუმცა არა დარწმუნებით. თავდაჯერებულად ინფორმაციის გაგებას, უზუსტობებისა და შეცდომების პოვნას სტუდენტთა მხოლოდ 3.7% ახერხებს.

ცხრილი №8. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეხუთე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.75	1	0.4	0.4
3.00	3	1.1	1.5
3.25	8	3.0	4.4
3.50	56	20.7	25.2
3.75	20	7.4	32.6
4.00	25	9.3	41.9
4.25	21	7.8	49.6
4.50	23	8.5	58.1
4.75	15	5.6	63.7
5.00	13	4.8	68.5
5.25	27	10.0	78.5
5.50	17	6.3	84.8
5.75	11	4.1	88.9
6.00	9	3.3	92.2
6.25	11	4.1	96.3
6.50	4	1.5	97.8
6.75	4	1.5	99.3
7.00	2	0.7	100.0
ჯამი	270	100.0	

ინფორმაციის შეფასება. ერთია თუ როგორ შეძლებს სტუდენტი ინფორმაციის პოვნას და მეორე რამდენად სწორად შეაფასებს მის სანდოობას. განსაზღვრავს მის ვალიდურობასა და სტაბილურობას. სტუდენტმა კრიტიკული თვალსაზრისით უნდა შეაფასოს მის ხელთ

არსებული ინფორმაცია. უნდა შეძლოს წყაროს შესაბამისობის იდენტიფიცირება ინფორმაციასთან, რაც შესაძლოა შეამოწმოს პუბლიკაციების თარიღით, მიზნით და მიზანმიმართული აუდიტორიით.ასევე არსებული დებულებების მიზანია შეამოწმოს, თუ რამდენად არის დარწმუნებული სტუდენტი იმ ინფორმაციის სანდოობასა და სიზუსტეში, რომელსაც ნაშრომისთვის იყენებს. ფიქრობს თუ არა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია სრულყოფილია და ბოლომდე პასუხობს საკვლევ თემას.

აღნიშნული ფაქტორის მიხედვით(M= 4.7, SD=1.3) , 37.8% ვერ ახერხებს ინფორმაციის სწორად შეფასებას, ზუსტად არ იცის მის ხელთ არსებული ინფორმაცია სანდოა თუ არა და პასუხობს თუ არა მის თემას. 50.7 %-ისთვის ეს პროცესი სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა ნაწილობრივ ახერხებენ ინფორმაციის შეფასებას, გამოყოფენ სანდო და სარწმუნო ინფორმაციას, იმ ინფორმაციიდან რომლის წყარო და პუბლიკაციის ავტორი გაურკვეველია. დანარჩენი 11.5% მაღალ დონეზე ართმევს თავს მასალების შეფასებას.დარწმუნებულია, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ზუსტად პასუხობს მის საკვლევ საკითხს.

ცხრილი №9. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეექვსე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.75	2	0.7	0.7
3.00	45	16.7	17.4
3.25	5	1.9	19.3
3.50	7	2.6	21.9
3.75	12	4.4	26.3
4.00	17	6.3	32.6
4.25	14	5.2	37.8
4.50	21	7.8	45.6
4.75	28	10.4	55.9
5.00	7	2.6	58.5
5.25	14	5.2	63.7
5.50	11	4.1	67.8
5.75	19	7.0	74.8
6.00	23	8.5	83.3
6.25	14	5.2	88.5

6.50	17	6.3	94.8
6.75	2	0.7	95.6
7.00	12	4.4	100.0
ჯამი	270	100.0	

ინფორმაციის სინთეზი და ორგანიზება

მეშვიდე ფაქტორი ეხება ინფორმაციის სინთეზსა და ორგანიზებას. მისი მთავარი მიზანია დაადგინოს რამდენად ახერხებს სტუდენტი უკვე შეგროვებულ და მოძიებულ ინფორმაციაში გარკვევას, მის სინთეზსა და ერთ მთლიანობად წარმოდგენას. საჭირო და არასაჭირო ინფორმაციის გაცხრილვას, ზუსტი და არაზუსტი ინფორმაციის დადგენას. იცვლება თუ არა მისი კითხვა მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, რამდენად ახერხებს მის ხელთ არსებული მასალების დახარისხებას მსგავსი შინაარსის მიხედვით. გამოკითხულთა 34% ფიქრობს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია არასაჭირო და არარელევანტურია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 38.9%-ისთვის მარტივი არ არის საჭირო ინფორმაციის დახარისხება და შინაარსის მიხედვით დალაგება.

მეშვიდე ფაქტორის ჯამური მაჩვენებლების მიხედვით (M=4.5, SD=0.87). გამოკითხულთა 47%-ისთვის სირთულეს წარმოადგენს ინფორმაციის სინთეზი და ორგანიზება. საშუალო შედეგები დაახლოებით 46%-მა აჩვენა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ გარკვეული უნარები, რომლებიც ეხმარება ინფორმაციის სინთეზსა და ორგანიზებაში. მხოლოდ 5.6% მაღალ დონეზე ფლობს სინთეზისა და ორგანიზებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ზუსტად იცის, რომ ინფორმაციის გაფილტვრის შემდეგ აქვს ის წყაროები, რომლებიც აუცილებელია სრულყოფილი ნაშრომის წარსადგენად.

ცხრილი №10. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეშვიდე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.50	1	0.4	0.4
3.00	3	1.1	1.5
3.25	7	2.6	4.1
3.50	50	18.5	22.6

3.75	17	6.3	28.9
4.00	18	6.7	35.6
4.25	31	11.5	47.0
4.50	22	8.1	55.2
4.75	31	11.5	66.7
5.00	23	8.5	75.2
5.25	12	4.4	79.6
5.50	23	8.5	88.1
5.75	13	4.8	93.0
6.00	4	1.5	94.4
6.25	12	4.4	98.4.
6.50	2	0.7	99.6
6.75	1	0.4	100
ჯამი	270	100.0	

ინფორმაციის წარდგენა. მერვე ფაქტორში შემავალი დებულებების მიზანია დაადგინოს, რამდენად აქვს სტუდენტს ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევები გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება (სლაიდი, ვიდეო, პლაკატი და სხვა.) კონკრეტული ინფორმაციის მისაწოდებლად. რამდენად იცნობს აუდიტორიას და რამდენად არის იმაში დარწმუნებული, რომ მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია აუდიტორიის მოთხოვნების შესაბამისია. გამოკითხულთა 44.4% არაა დარწმუნებული იმაში, თუ რა ფორმით უნდა წარადგინოს ინფორმაცია და როგორია აუდიტორიის მოთხოვნები. რაც შეეხება დებულებას "ჩემი ინფორმაცია ნათლად და დამაჯერებლად არის წარდგენილი" გამოკითხულთა მხოლოდ 21.9% ეთანხმება მას.

რაც შეეხება ფაქტორის ჯამურ მაჩვენებლებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტუდენტებს შედარებით უკეთ შეუძლიათ საკუთარი აუდიტორიის ამოცნობა და მომზადებული მასალის წარდგენა, რასაც ვერ ვიტყვით თავად მასალის მომზადების, შეფასებისა და სინთეზის ეტაპზე. მერვე ფაქტორის დებულებების ჯამური მაჩვენებლის (M=5.0 SD=1.27) მიხედვით, 20.4% თავს მაღალ დონეზე ართმევს ინფორმაციის წარდგენას აუდიტორიის შესახებ. ზუსტად იცნობს აუდიტორიის მოთხოვნებს და დარწმუნებულია, რომ ინფორმაცია ნათლად და დამაჯერებლადაა წარდგენილი.

ცხრილი №11. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მერვე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.25	1	0.4	0.4
2.50	1	0.4	0.7
2.75	1	0.4	1.1
3.25	4	1.5	2.6
3.50	58	21.5	24.1
3.75	3	1.1	25.2
4.00	26	9.6	34.8
4.25	7	2.6	37.4
4.50	14	5.2	42.6
4.75	7	2.6	45.2
5.00	8	3.0	48.1
5.25	26	9.6	57.8
5.50	20	7.4	65.2
5.75	12	4.4	69.6
6.00	18	6.7	76.3
6.25	9	3.3	79.6
6.50	5	1.9	81.5
6.75	22	8.1	89.6
7.00	28	10.4	100.0
ჯამი	270	100.0	

ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაგება.

მეცხრე ფაქტორი აერთიანებს კითხვებს, რომელთა მიზანია, გაარკვიოს რამდენად აქვს ცოდნა სტუდენტს ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების შესახებ. რამდენად აქვს ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ მოიყვანოს სათანადოდ წყაროები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიყენა, რამდენად იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას. ესმის თუ არა ცენზურასთან დაკავშირებული საკითხები, აზრის თავისუფლება და რამდენად სცემს პატივს განსხვავებულ ნააზრევს. შეუძლია თუ არა განსაზღვროს მიკერძოებული ინფორმაცია და იცის თუ არა, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს.

გამოკითხულთა მაქსიმალური უმრავლესობისთვის, 68.6%ისთვის ცნობილია, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და საჯაროდ წარდგენა დაუშვებელია. განსხვავებული შედეგია ფაქტორის დანარჩენ კითხვებში. სტუდენტთა მხოლოდ 29.6%-ია დარწმუნებული ზუსტად როგორ მიუთითოს წყაროები, დანარჩენ მათგანს ან არ ესმის და არ იცის, ან ბოლომდე დარწმუნებულები არ არიან რამდენად სწორად უთითებენ წყაროებს. რაც შეეხება მიკერძოებული ინფორმაციის განსაზღვრას სტუდენტთა მხოლოდ 20%ს აქვს შესაბამისი უნარები განვითარებული.

ჯამური ფაქტორის (M=4.8, SD=0.84) მიხედვით, სტუდენტთა 36.3% -ს კარგად არ ესმის ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. არ იცის როგორ გამოიყენოს და მიუთითოს წყაროები, განსაზღვროს და ამოიცნოს მიკერძოებული ინფორმაცია.11.4%-მა მაღალ დონეზე იცნობს ეთიკურ, იურიდიულ და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს.

ცხრილი №12. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეცხრე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.50	1	0.4	0.4
3.00	1	0.4	0.7
3.25	4	1.5	2.2
3.50	4	1.5	3.7
3.75	8	3.0	6.7
4.00	63	23.3	30.0
4.25	17	6.3	36.3
4.50	14	5.2	41.5
4.75	20	7.4	48.9
5.00	24	8.9	57.8
5.25	24	8.9	66.7
5.50	20	7.8	74.5
5.75	22	8.1	82.6
6.00	11	4.1	86.7
6.25	5	1.9	88.6
6.50	17	5.6	94.2
7.00	18	5.8	100
ჯამი	270	100.0	

უკუკავშირის გათვალისწინება და მომავალ პროექტებზე გავრცელება. დასკვნითი, ბოლო ფაქტორი უკუკავშირების გათვალისწინებასა და მომავალში გამოყენებას ეხება. იმის დადგენას, თუ რამდენად ითვალისწინებენ სტუდენტები უკუკავშირებს მომავალი პროექტებისთვის, როგორ მოქმედებს უკუკავშირები მათ სტიმულზე,რამდენად არიან დარწმუნებულები იმაში, თუ როგორ მიიღო აუდიტორიამ, მათი წარდგენილი პრეზენტაცია.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 20%-მა იცის როგორ მიიღებს აუდიტორია მათ მიერ მომზადებულ პროექტს, ხოლო 36,3% არაა დარწმუნებული ინფორმაციის წარდგენის შემდეგ როგორ მიიღო მათი პროექტი მსმენელმა. 35.9% სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ მათ შეუძლიათ ისწავლონ და ეს უკუკავშირები წარმატებით გამოიყენონ შემდეგ პროექტებზე.

რაც შეეხება ბოლო ფაქტორის მთლიან მაჩვენებელს (M=4.87, SD=1.14), საერთო ჯამში გამოკითხულთა 40%-ისთვის სირთულეს წარმოადგენს უკუკავშირების ჯანსაღად მიღება და მომავალში გამოცდილების გათვალისწინება, 14.1%-ისთვის, პირიქით. ისინი ზუსტად არიან დარწმუნებულები თუ როგორ მიიღო აუდიტორიამ მათი პროექტი, უკუკავშირების მიღების შემდეგ ითვალისწინებენ შენიშვნებს და იყენებენ მომავალ პროექტებზე.

ცხრილი №13. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეათე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.75	3	1.1	1.1
3.25	2	0.7	1.9
3.50	51	18.9	20.7
3.75	10	3.7	24.4
4.00	29	10.7	35.2
4.25	13	4.8	40.0
4.50	18	6.7	46.7
4.75	26	9.6	56.3
5.00	8	3.0	59.3
5.25	10	3.7	63.0

5.50	17	6.3	69.3
5.75	21	7.8	77.0
6.00	16	5.9	83.0
6.25	8	3.0	85.9
6.50	16	5.9	91.9
6.75	8	3.0	94.8
7.00	14	5.2	100
ჯამი	270	100.0	

დაბოლოს, ათივე ფაქტორის ჯამური საშუალოს შეკრებით, მივიღეთ წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი (M=4.8 SD=0.91). რომელიც აერთიანებს ათ სფეროს და აჩვენებს რამდენად კარგად შეუძლიათ სტუდენტებს, თემის იდენტიფიცირება, ინფორმაციის საჭიროებების განსაზღვრა,რამდენად კარგად ფლობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისთვის საჭირო უნარებს (ინფორმაციის მოძიების ცოდნა), შეუძლიათ თუ არა ინფორმაციის მიღება და განლაგება,აქვთ თუ არა მასმედიის სათანადო გამოყენებისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევები, აქვთ თუ არა ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ შეაფასონ ინფორმაცია, შეუძლიათ თუ არა მისი ორგანიზება და სინთეზი, ფლობენ თუ არა ინფორმაციის წარდგენისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს,იციან თუ არა ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხები და მათი სათანადო გამოყენება, შეუძლიათ თუ არა უკუკავშირის გათვალისწინება და მომავალ პროექტებზე გავრცელება.

კვლევის შედეგების მიხედვით, **სტუდენტთა 26.7% საშუალო (M=4.8) ქულაზე დაბლაა, ხოლო დაახლოებით 11.1% საშუალო მონაცემებზე მაღლაა. სტუდენტთა 62.2 % -ს წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი აქვს.** შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ აქვთ განვითარებული წიგნიერების სხვადასხვა უნარ-ჩვევები, თუმცა ბოლომდე ვერ არხერხებენ მოძიებული ინფორმაციის დახარისხებას, სინთეზსა და ორგანიზებას.

2.3. ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი

ანალიზის შედეგად, წიგნიერების დონის საშუალო ქულის მიხედვით, ქალებსა (M=4.88, SD=0.9), და მამაკაცებს (M=4.81, SD=0.93) შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება (p>0.05) არ გამოვლინდა. კვლევის შედეგებისა და ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ სტუდენტებს ერთნაირად აქვთ განვითარებული აღნიშნული უნარ-ჩვევები, რასაც ადასტურებს უცხოური კვლევის შედეგებიც, რომელთა მიხედვით არ დაფიქსირდა არანაირი განსხვავება სტუდენტებში სქესის მიხედვით(National Survey of America's College Students, 2006).

ცხრილი №14. წიგნიერების საშუალო ქულა სქესის მიხედვით

სქესი	საშუალო ქულა (M)	რაოდენობა (N)	სტანდარტული გადახრა(SD)
მდედრობითი	4.8817	161	0.90971
მამრობითი	4.8119	109	0.93103
ჯამი	4.8535	270	0.91729

სქესთა შორის სტატისტიკურად მცირე განსხვავება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების (ინფორმაციის მოძიება) ცოდნასა (ქალები: M=5.15, SD=1.31; კაცები: M=4.31, SD=1.1; p<0.05) და ინფორმაციის წარდგენის (ქალები: M=4.6, SD=0.8; კაცები M=4.2, SD=0.9; p<0.05) სკალებზე აღმოჩნდა. რაც შეეხება დანარჩენ ფაქტორებს, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩენილა არც ერთ ფაქტორსა და სქესს შორის.

იქიდან გამომდინარე, რომ ასაკობრივი ჯგუფები არ გვქონდა და კვლევა მხოლოდ მეოთხე და მესამე კურსის სტუდენტებს შორის ჩატარდა, რომელთა ასაკი 18-დან 26 წლამდე მერყეობდა, ამიტომ ასაკს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არც ერთ ფაქტორსა და მთლიანი წიგნიერების მაჩვენებელს შორის არ აღმოჩენილა.

კვლევის ჩასატარებლად მიზნობრივად იქნა შერჩეული მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები, რომელთაც პირველ და მეორე კურსელებთან შედარებით უკეთ უნდა ჰქონოდათ განვითარებული წიგნიერების მაჩვენებელი.

ჯგუფებს შორის უნივარიაციულ (One-Way Anova) ანალიზს მივმართეთ იმისათვის, რომ შეგვეფასებინა იყო თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავება კურსსა და წიგნიერების საშუალო ქულებს შორის.

აღსანიშნავია ის, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($p<0.01$) განსხვავება გამოვლინდა მესამე ($M=4.5$, $SD=0.9$) და მეოთხე ($M=5.3$, $SD=0.7$) კურის სტუდენტებს შორის. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს წიგნიერების უფრო მაღალი უნარ-ჩვევები აქვს წინა კურსის სტუდენტებთან შედარებით.

უნივარიაციული ანალიზის შედეგად, ოჯახის საშუალო შემოსავალსა და სტუდენტის წიგნიერების დონეს შორის, ამ შემთხვევაშიც სტატისტიკუად მნიშვნელოვანი განსხვავებები გვაქვს. $F(4,265)=9.76$, $p<0.001$.

იმ ჯგუფებში, რომლებშიც შემოსავლის დაბალი დონეა, წიგნიერების მაჩვენებელი ($M=4.5$, $SD=0.5$) ,უფრო დაბალია, იმ ჯგუფებთან შედარებით, რომლებშიც შემოსავლის საშუალო და მაღალი დონეა ($M=5.4$, $SD=0.7$);

ცხრილი №15. წიგნიერების ხარისხის საშუალო მაჩვენებელი ოჯახის შემოსავლის დონეების მიხედვით

ოჯახის შემოსავალი	საშუალო (Mean)	სტანდარტული გადახრა (Std.Deviation)	სტანდარტული შეცდომა (Std.Error)
0-500	4.48	0.53260	0.21743
500-1000	4.85	1.0469	0.09638
1000-1500	5.09	0.6926	0.084
1500-2000	5.10	0.641	0.0935
2000-დან ზევით	5.25	0.7434	0.1335

როგორც კვლევის შედეგების ანალიზის შემდეგ დადგინდა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება (GPA) სტატისტიკურად არაა მნიშვნელოვანი წიგნიერების საშუალო ხარისხთან. $F(3,266)=2.358$, $p>0.05$. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად სტუდენტების მაღალი აკადემიური მოსწრებისა, წიგნიერების მაღალი ხარისხი ძალიან მცირე პროცენტს აქვს. რის საფუძველზეც შეიძლება ვთქვათ, რომ აკადემიური მოსწრება კორელაციაში არ არის სტუდენტთა წიგნიერების ხარისხთან დაკავშირებით. თუმცა აქვე საინტერესოა რა განაპირობებს სტუდენტთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას. სავარაუდოდ, სტუდენტთა მაღალ ქულებს სოციალურ-კულტურული ფენომენი განაპირობებს, სტუდენტთა ნაწილი მაღალ ქულებს ცოდნაში, ხოლო ნაწილი შრომაში იღებს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალი ქულები შესაძლებელია ლექტორების კეთილი ნებით იყოს განპირობებული.

ცხრილი №16. Tukey-ის ტესტის შედეგი: წიგნიერების ხარისხის საშუალო მაჩვენებელი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (GPA) მიხედვით

რამდენია თქვენი GPA ან ნიშნების საშუალო მაჩვენებელი	**N**	**Subset for alpha = 0.05**	
		1	2
1	9	4.3444	
4	92	4.7514	4.7514
2	56	4.8063	4.8063
3	113		5.0007

აღსანიშნავია ისიც, ანალიზის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($p>00.5$) იმ სტუდენტებს შორის, რომლებმაც სკოლა თბილისსა($M=5.22$, $SD=0.64$)და რეგიონებში($M=5.14$, $SD= 0.7$)დაამთავრეს.

წიგნიერება და უნივერსიტეტები

საინტერესოა არსებობს თუ არა განსხვავება წიგნიერების ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით უნივერისტეტებს შორის. უნივარიაციული ანალიზის (One-Way Anova) მიხედვით, უნივერსიტეტებსა და ზოგადი წიგნიერების ხარისხის საშუალო ქულებს შორის არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. $F(2,267)=2.1$ $p>0.05$.

ცხრილი №17. წიგნიერების ხარისხის საშუალო მაჩვენებელი უნივერსიტეტების მიხედვით

უნივერსიტეტები	**საშუალო (Mean)**	**სტანდარტული გადახრა (Std.Deviation)**	**სტანდარტული შეცდომა (Std.Error)**
თსუ	4.9853	0.78549	0.08280
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	4.8664	0.89543	0.09439
თავისუფალი უნივერისტეტი	4.7089	1.04188	0.10982

მართალია, უნივერსიტეტებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა მთლიანი წიგნიერების საშუალო მაჩვენებელს შორის, თუმცა სტატისტიკურ განსხვავებებს ვხვდებით რამდენიმე ფაქტორში.

სტატისტიკურად მცირე განსხვავება აღინიშნება კვლევის მესამე ფაქტორში, რომელიც ეხება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების (ინფორმაციის მოძიება) ცოდნას. კვლევის ანალიზის მიხედვით, $F(2,67)=2.89$, $p<0.05$, თავისუფალი უნივერსიტეტის საშუალო ქულა ($M=5.2$, $SD=1.2$), განსხვავდება თსუ-ისა($M=4.8$, $SD=1.27$) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ($M=4.4$, $SD=1.4$) ჯამური ქულებისგან.

აღნიშნული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს კარგად აქვთ განვითარებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები.

რაც შეეხება მერვე ფაქტორს, ამ შემთხვევაშიც გვაქვს სტატისტიკური განსხვავება, $F(2.26)=2.08$, $p<0.05$. უნივარიაციული ანალიზის მიხედვით, თსუ-ის სტუდენტებს ($M=5.8$, $SD=0.9$) სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან შედარებით უკეთ შეუძლიათ ინფორმაციის წარდგენა აუდიტორიის წინაშე.

ცხრილი №18. ინფორმაციის წარდგენის საშუალო მაჩვენებელი უნივერსიტეტების მიხედვით

უნივერსიტეტები	N	Subset for alpha = 0.05
		1
თსუ	90	5.843
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	90	4.634
თავისუფალი უნივერსიტეტი	90	4.8389

სტატისტიკური განსხვავება აღინიშნება $F(2.26)=3.87$ $p<0.05$, მეცხრე ფაქტორის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით უნივერსიტეტებს შორის. კვლევის ანალიზის მიხედვით, თსუ-ის სტუდენტთა მეცხრე ფაქტორის საშუალო ქულა($M=5.54$, $SD=0.7$) აღემატება თავისუფალი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების ქულათა ჯამს. არსებული განსხვავების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თსუ-ის სტუდენტებს უკეთ ესმით ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები. მათ შედარებით მაღალი ცოდნა აქვთ ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების შესახებ. უკეთ იგებენ, რომ სხვისი საკუთრების გამოყენება არ შეიძლება, ბოლომდე უნდა დაიცვან ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, ასევე არ გამოიყენონ კონფიდენციალური მასალა.

ცხრილი №19. ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხები უნივერსიტეტების მიხედვით

უნივერსიტეტები	საშუალო (Mean)	სტანდარტული გადახრა (Std.Deviation)	სტანდარტული შეცდომა (Std.Error)
თსუ	5.5432	0.78233	0.08247
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	4.7806	0.81664	0.08608
თავისუფალი უნივერისტეტი	4.7417	0.87285	0.9201

დასკვნის სახით, ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართალია არსებობს მცირე განსხვავება ფაქტორების საშუალო ქულებსა და უნივერსიტეტებს შორის, თუმცა, წიგნიერების საერთო მაჩვენებლის მიხედვით არ არსებობს სტატისტიკური განსხვავება უნივერსიტეტებს შორის.

ფაკულტეტები და წიგნიერება

კვლევის მეორე პიპოთეზა წიგნიერების განსხვავებული მაჩვენებლით ფაკულტეტებს შორის დადასტურდა. ფაკულტეტებისა და წიგნიერების საშუალოს ვარიაციული ანალიზის საფუძველზე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა, F(2.267)=6.084. P=0.003. აღნიშნული განსხვავება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ, თუ როგორი მდგომარეობაა ფაკულტეტებს შორის წიგნიერების ხარისხის საშუალო მაჩვენებლით და არსებობს თუ არა განსხვავება თავად ფაქტორებს შიგნით.

კვლევის შედეგების მიხედვით, წიგნიერების მაღალი მაჩვენებლით სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი გამოირჩევა(M=5.13,SD=0.85), ხოლო წიგნიერების ყველაზე დაბალი საშუალო ქულები ჰუმანიტარულ ფაკულტეტის სტუდენტებს (M=4.26,SD=0.96) აქვთ.

ცხრილი №20. წიგნიერების საშუალო მაჩვენებელის ვარიაცია ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტები	საშუალოთა შორის სხვაობა (Mean Difference)	სტანდარტული შეცდომა (Std. Error)	სტატისტიკური მნიშვნელოვნება (Sig.)
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	0.6079*	0.13423	0.013
ჰუმანიტარული	0.8699*	0.13423	0.04

სოციალური და პოლიტიკური ჰუმანიტარული	-0,5106* 0.3593*	0.13423 0.13423	0.013 0.005
სოციალური და პოლიტიკური ზუსტი და საბუნებისმეტყველო	-0.8699* -0.3593*	0.13423 0.13423	0.04 0.005
*. The mean difference is significant at the 0.05 level.			

ცხრილი №21. Tukey-ის ტესტის შედეგი: წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტები	N	Subset for alpha = 0.05	
სოციალური და პოლიტიკური	90	5.1341	
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	90	4.6235	
ჰუმანიტარული	90		4.2642

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა მეორე ფაქტორის მიხედვით F(2.267)=11.777, p<0.001. ანალიზის შედეგად, ინფორმაციის საჭიროების განსაზღვრას ყველაზე კარგად ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები ახდენენ (M=5.6, SD=1.25), ზუსტ და საბუნებისმეტყველო (M=4.67, SD=1.4) და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან (M=5.36, SD=1.3) შედარებით.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება F(2.267)=7.116, p=0.001 დაფიქსირდა ინსტრუმენტის მესამე ფაქტორის მიხედვით ფაკულტეტებს შორის. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების (ინფორმაციის მოძიება) უნარ-ჩვევების მიხვედით ყველაზე დაბალი საშუალო ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ (M=4.54, SD=1.27). ვარიაციული ანალიზის მიხედვით, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ყველაზე კარგად სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სტუდენტები (M=5.25, SD=1.22) ართმევენ თავს. მცირე სტატისტიკური განსხვავება არსებობს

პოლიტიკური მეცნიერებებისა და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტუდენტების (M=5.02,SD=1.32) საშუალო ქულებს შორის.

მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა მეოთხე F(2.267)=4.32, p<0.05 და მეხუთე ფაქტორის F(2.267)=3.5, p<0.05 მონაცემებსა და ფაკულტეტებს შორის. ინფორმაციის მიღებისა და განლაგების ყველაზე მაღალი საშუალო ქულა ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ (M=4.98, SD=0.9), ხოლო ყველაზე დაბალი ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებს(M=4.56,SD=1.15).

ცხრილი №22. Tukey-ის ტესტის შედეგი: ინფორმაციის მიღებისა და განლაგების საშუალო მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტები	N	Subset for alpha = 0.05	
		1	2
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	90	4.5611	
სოციალური და პოლიტიკური	90		4.9611
ჰუმანიტარული	90		4.9833

რაც შეეხება მასმედიის სათანადო გამოყენებას, ყველაზე მაღალი ქულების საშუალო მაჩვენებელი(M=4.7, SD=0.9) სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სტუდენტებს აქვთ. აღნიშნულ დასკვნას აძლიერებს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთაგან იყვნენ ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებიც, რაც მათ საშუალებას აძლევს კრიტიკული თვალით შეაფასონ მასმედიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და განსაზღვრონ მისი ობიექტურობა. მცირე განსხვავებაა ჰუმანიტარულ (M=4.58,SD=0.96) და ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების საშუალო ქულებს შორის (M=4.33,SD=0.93).

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა მეშვიდე ფაქტორის მიხედვით, F(2.267)=4.52, p<0.05 ფაკულტეტებს შორის. კვლევის შედეგების მიხედვით, ინფორმაციის სინთეზსა და ორგანიზებას ყველაზე კარგად ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები ახერხებენ (M=4.66, SD=0.84)

ცხრილი №23.ინფორმაციის სინთეზისა და ორგანიზების საშუალო მაჩვენებელის ვარიაცია ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტები	საშუალოთა შორის სხვაობა (Mean Difference)	სტანდარტული შეცდომა (Std. Error)	სტატისტიკური მნიშვნელოვნება (Sig.)
ზუსტი და საბუნებისმეტყველო ჰუმანიტარული	-0.0639 0.2972*	0.12819 0.12819	0.872 0.05
სოციალური და პოლიტიკური ჰუმანიტარული	0,0639* 0.3611*	0.12819 0.12819	0.05 0.014
სოციალური და პოლიტიკური ზუსტი და საბუნებისმეტყველო	-0.2972 -0.3611*	0.12819 0.12819	0.872 0.014
*. The mean difference is significant at the 0.05 level.			

სტატისტიკური განსხავავება აღინიშნება წიგნიერების კვლევის მეცხრე ფაქტორის საშუალო ქულების მიხედვით $F(2.267)=2.01$, $p<0.05$. კვლევის შედეგად, ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაგება ყველაზე კარგად სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ($M=4.97, SD=0.83$) სტუდენტებს შეუძლიათ. აღნიშნული ფაქტორის ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტებს აქვთ ($M=4.42, SD=0.82$).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მართალია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სტუდენტებს წიგნიერების საშუალო მაჩვენებლით ყველაზე მეტი ქულა აქვთ, თუმცა ანალიზის მიხედვით, განსხვავდება ფაკულტეტების წიგნიერების მაჩვენებელი სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით.

დასკვნები

მოცემულ კვლევას რამდენიმე მიზანი ჰქონდა. პირველ რიგში ეს იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების წიგნიერების მაჩვენებლის შესწავლა. როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, სტუდენტთა წიგნიერების უნარ-ჩვევები არ არის შესაბამისად განვითარებული,რადგან გამოკითხულ სტუდენტთა 35.6%-ს წიგნიერების საშუალოზე დაბალი ქულა აქვს. აქვე აღსანიშნავია ის, რომ გამოკითხულთა უმეტესობას, მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, რაც კორელაციაში არ მოდის მათს წიგნიერების უნარებთან.

კვლევის ერთ-ერთ მიზანს ფაკულტეტებს შორის განსხვავების წარმოჩენა წარმოადგენდა. ანალიზის შედეგად დადასტურდა მეორე ჰიპოთეზა, რომ ფაკულტეტებს შორის არსებობს განსხვავებული მაჩვენებელი წიგნიერების დონის მხრივ. როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, საშუალო ქულის მიხედვით, წიგნიერების უნარ-ჩვევები ყველაზე კარგად სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სტუდენტებს აქვთ განვითარებული, ხოლო ყველაზე ნაკლებად ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოური კვლევის შედეგების მსგავსად განსხვავება არ შეინიშნება წიგნიერების დონის მხრივ სქესთა შორის. ასევე წიგნიერების საშუალოს მიხედვით დაახლოებით მსგავსი მაჩვენებელი აქვთ სამივე უნივერსიტეტის სტუდენტებს. თუმცა მცირე განსხვავებები შეინიშნება უნივერსიტეტებში სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით. კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სხვადასხვა უმაღლესი დაწესებულება მეტ-ნაკლებად განსხვავებულად უვითარებს სტუდენტებს წიგნიერების უნარ-ჩვევებს.

ანალიზის მიხედვით სტუდენტთა უმეტესობისთვის სირთულეს წარმოადგენს ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაგება. სტუდენტებს ბოლომდე არ აქვთ გაცნობიერებული ინტელექტუალურ საკუთრების მნიშვნელობა, ცენზურასთან დაკავშირებული საკითხები. ხოლო უმეტეს ნაწილს არ შეუძლია განსაზღვროს ობიექტური ინფორმაცია მიკერძოებულისგან.

მიღებული მონაცემების ანალიზმა დაადასტურა, რომ სტუდენტებს მეტ-ნაკლებად შეუძლიათ წვდომა საჭირო ინფორმაციაზე, შეუძლიათ მათი მოძიება და დახარისხება, თუმცა ეს ყველაფერი ტექსტების სრულფასოვან ანალიზთან პირდაპირ კავშირში არ არის. მათ უჭირთ მიღებული ინფორმაციის შეფასება, ორგანიზება და სინთეზი.

ასევე კვლევის ერთ-ერთი მიგნება უკუკავშირს ეხება. სტუდენტები შესაბამისად ვერ აფასებენ აუდიტორიის მოთხოვნებს, შესაბამისად უჭირთ პოზიტიური უკუკავშირების მიღება და სამომავლო პროექტებზე განხორციელება.

წარმოდგენილი კვლევა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებში სტუდენტთა წიგნიერების ხარისხის შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური კვლევების წარმოებას ევროპულ და ამერიკულ აკადემიურ სივრცეში რამდენიმე წლიანი ისტორია აქვს, თანამედროვე ქართულ სივრცეში ახლა იწყება ამ მიმართულებით მუშაობა. მოცემული კვლევა, სტუდენტთა წიგნიერების ხარისხის შესწავლისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია, რომელიც მნიშვნელოვნად შეავსებს უკვე არსებულ ცოდნას სამეცნიერო წრეებში.

რეკომენდაციები

საჭიროა გადაიხედოს და დაიხვეწოს სკოლის კურიკულუმი, რომელიც თანმიმდევრულ და სისტემურ ხასიათს მისცემს წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას.

მნიშვნელოვანია ის, რომ წიგნიერების უნარების განვითარება საშუალო განათლებიდან უნდა დაიწყოს. აუცილებელია სწორად შემუშავდეს და განისაზღვროს სწავლის მიზანი და შინაარსი. მიზნის მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული შესაბამისი მეთოდები. ეს ყველაფერი კი უნდა უზრუნველყოს მასწავლებელმა, რომელსაც ექნება მიღებული შესაბამისი განათლება და ყველა ის საჭირო უნარ-ჩვევა, რომელიც დაეხმარება განუვითაროს მოსწავლეებს სხვადასხვა კომპეტენცია.

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების წიგნიერების რიგი მაჩვენებლები საერთაშორისო მაჩვენებელთან შედარებით კიდევ უფრო უნდა განვითარდეს. ამისთვის საჭიროა წიგნიერების უნარის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები და მათი სწავლება სტანდარტის შესაბამისად. შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით შექმნილი კურსები ხელს შეუწყობს სტუდენტებზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც კვლევა ნორმაა, პრობლემის გადაჭრა ფოკუსი ხდება, ხოლო კრიტიკული აზროვნება ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი.

სტანდარტის საფუძველზე შეიქმნას და გამოიცეს სახელმძღვანელოები და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში წიგნიერების ხარისხის ზრდას.

უმაღლეს დაწესებულებებში უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სწავლის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. ცოდნის გასაღრმავებლად, გააზრებული კითხვების დასასმელად და კრიტიკული აზროვნების დასახვეწად ფართოდ იქნება გამოყენებული მრავალფეროვან საინფორმაციო წყაროები.

ლექტორებმა შესაბამისი სასწავლო კურსებითა და პროგრამებით მნიშვნელოვანია ხელი შეუწყონ, ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება ფორმალური სასწავლო გარემოს მიღმა გახდეს სრულფასოვანი მოქალაქე.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო პერსპექტივები

არსებული კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვა მისი გეოგრაფიული არეალია. სასურველი იქნება თუ შემდეგში კვლევა ჩატარდება როგორც თბილისში მდებარე უმაღლესი დაწესებულებებში, ასევე სხვადასხვა რეგიონში არსებულ უნივერსიტეტებშიც.

კვლევის ერთ-ერთ გამოწვევასა და შეზღუდვას, წიგნიერებაზე მოქმედი ფაქტორებისა და მიზეზების კვლევა წარმოადგენს. იმის დადგენა, თუ რა იწვევს წიგნიერების იმ ხარისხს, რასაც კვლევის შედეგების ანალიზის შემდეგ ვხვდებით. რა განაპირობებს სტუდენტებში წიგნიერების ხარისხის დაბალ და მაღალ მაჩვენებლებს და რატომაა აუცილებელი მოქმედი ფაქტორების დახვეწა და გაუმჯობესება, წიგნიერების დონის გაუმჯობესების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

კუტალაძე ია, (2008). წიგნიერება, , *PIRLS 2006 საქართველოში*

ლორთქიფანიძე.დ, (1981). *დიდაქტიკა,* თბილისი.

ნეფარიძე.თ,(2012). *წიგნიერების ტრადიციული და ახალი სახეები.*

პაპავა, პ., ჭანტურია, თ,(2012) *წიგნიერება, მასწავლებლის სახელმძღვანელო,*თბილისი: სამოქალაქო

გამოცდების ეროვნული ცენტრი,(2011). *PIRLS 2011, წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასზე ზემოქმედი ფაქტორები.*

ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024,თბილისი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, (2018),

Baer, J. D., Cook, A. L., & Baldi, S. (2006). The Literacy of America's College Students. American Institutes for Research

Boyer Commission on Educating Undergraduates in the Research University. (1998) Reinventing Undergraduate Education: A Blueprint for America's Research Universities. *State University of New York, Stony Brook*

Delgadova,E. (2015). Reading literacy as one of the most significant academic competencies for the university students, Social and Behavioral Sciences ,178 , 48 – 53

Greenberg, E., Ying, J. (2007). 2003 National Assessment of Adult Literacy

Greany & Neuman,(1990); Organization for Economic Cooperation and Develpment, 1999, Wagner, 1991.

Garbe,Ch., Lafontaine,D., Shiel,G. (2015). Literacy in Finlad, country report, Children and Adolescents

Hobbs, R., Frost, R. (2003). Measuring the acquisition of media- literacy skills. International Reading Association.

John W. Miller, Michael C. McKenna,. (2016) World Literacy: How Countries Rank and Why It Matters.

Justin D. Baer Andrea L. Cook Stéphane Baldi, National Survey of America's College Students (NSACS) *„the literacy of america's college students", 2006, january*

Kirsch, I.S., Yamamoto, K., Norris, N., Rock, D., and others. (1992) Technical Report and Data File User's Manual for the 1992 National Adult Literacy Survey (NCES 2001-457). U.S. Department of Education, National Center for Education Statistics. Washington, DC. https://nces.ed.gov/pubs2001/2001457.pdf.

Kirsch, I.S., Jungeblut, A., Jenkins, L., and Kolstad, K. (1993). Adult Literacy in America: A First Look at the Findings of the National Adult Literacy Survey (NCES 93-275). U.S. Department of Education, National Center for Education Statistics. Washington, DC. https://nces.ed.gov/pubs93/93275.pdf.

Marshall, R. (2006) . An Instrument To Measure Information Competency. Journal of Literacy and Technology: An Academic Journal

Mullis I.V.S., Martin M. O., Foy P., Drucker K.T., (2012). *PIRLS 2011 International Results in Reading, TIMSS & PIRLS International Study Center, Lynch School of Education, Boston College, Chestnut Hill, MA, USA.*

Mullis I.V.S., Martin M. O., Foy P., Drucker K.T., (2012). PIRLS 2011 International Results in Reading, TIMSS & PIRLS International Study Center, Lynch School of Education, Boston College, Chestnut Hill, MA, USA.

Mullis I.V.S., Martin M. O., Minnich C.A., Drucker K.T., Ragan M.A., (2012). PIRLS 2011 Encyclopedia, Education Policy and Curriculum in Reading.

Mullis I.V.S., Martin M. O., Kennedy A.M., Trong K. L., Sainsbury M., (2009). PIRLS 2011 Assessment Framework; TIMSS & PIRLS International Study Center, Lynch School of Education, Boston College.

Mullis, I. V. S., Martin, M. O., Foy, P., & Hooper, M. (2017a). PIRLS 2016 international results in reading. Retrieved from Boston College, TIMSS & PIRLS International Study Center website: http://timssandpirls.bc.edu/pirls2016/international-results/

van der Voort, T.H.A. (2001). Television's impact on children's leisure time reading and reading skills.

National Institute for Literacy, (2008). *Report of the National Early Literacy Panel*

დანართები

დანართი A

ცხრილი № A1. ფაქტორებს შორის სანდოობის მაჩვენებელი

ფაქტორები	ქართული ადაპტირებული ტესტის კრონბახის ალფა კოეფიციენტი N=270	
	დებულების რაოდენობა	
თემის იდენტიფიცირება	4	0.76
წყაროს საჭიროებების განსაზღვრა	4	0.77
საჭირო ინფორმაციის მოძებნის ცოდნა	4	0.74
ინფორმაციის განლაგება და აღდგენა	4	0.56
ინფორმაციის შეფასება	4	0.63
ინფორმაციის სინთეზი და ორგანიზება	4	0.81
ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაგება	4	0.91
მასმედიის სათანადო გამოყენება;	4	0.72
ინფორმაციის წარდგენა;	4	0.73
უკუკავშირის გათვალისწინება და სხვა პროექტებზე გავრცელება	4	0.62



ილუსტრაცია №A1.რესპონდენტთა განაწილება კურსის მიხედვით



ილუსტრაცია №A2. რესპონდენტთა განაწილება ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი №A2. რესპონდენტთა განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

		ასაკი									ჯამი
		18	19	20	21	22	23	24	25	26	
სქესი	მდედრობითი	14	24	31	34	31	20	0	1	6	161
	განაწილება(%)	8.7%	14.9%	19.3%	21.1%	19.3%	12.4%	0.0%	0.6%	3.7%	100.0%
	ასაკი(%)	93.3%	61.5%	60.8%	51.5%	58.5%	66.7%	0.0%	50.0%	66.7%	59.6%
	ჯამი(%)	5.2%	8.9%	11.5%	12.6%	11.5%	7.4%	0.0%	0.4%	2.2%	59.6%
	მამრობითი	1	15	20	32	22	10	5	1	3	109
	განაწილება(%)	0.9%	13.8%	18.3%	29.4%	20.2%	9.2%	4.6%	0.9%	2.8%	100.0%
	ასაკი(%)	6.7%	38.5%	39.2%	48.5%	41.5%	33.3%	100.0%	50.0%	33/3%	40.4%
	ჯამი(%)	0.4%	5.6%	7.4%	11.9%	8.1%	3.7%	1.9%	0.4%	1.1%	40.4%
ჯამი	სქესი	15	39	51	66	53	30	5	2	9	270
	განაწილება(%)	5.6%	14.4%	18.9%	24.4%	19.6%	11.1%	1.9%	0.7%	3.3%	100.0%
	ასაკი(%)	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
	ჯამი(%)	5.6%	14.4%	18.9%	24.4%	19.6%	11.1%	1.9%	0.7%	3.3%	100.0%



ილუსტრაცია №A3. რესპონდენტთა განაწილება თბილისსა და რეგიონების მიხედვით

ცხრილი №A3.

შეფასება	GPA
51-60	0.5
61-70	1
71-80	2
81-90	3
91-100	4



ილუსტრაცია №4. რესპონდენტთა განაწილება აკადემიური მოსწრების (GPA) მიხედვით



ილუსტრაცია №5. რესპონდენტთა განაწილება სქესისა და აკადემიური მოსწრების(GPA)მიხედვით

დანართი B

ცხრილი №B1. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება პირველი ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.50	2	0.7	0.7
2.75	1	0.4	1.1
3.00	43	15.9	17.0
3.25	3	1.1	18.1
3.50	14	5.2	23.3
3.75	4	1.5	24.8
4.00	9	3.3	28.1
4.25	18	6.7	34.8
4.50	18	6.7	41.5
4.75	19	7.0	48.5
5.00	15	5.6	54.1
5.25	14	5.2	59.3
5.50	15	5.6	64.8
5.75	13	4.8	69.6
6.00	21	7.8	77.4
6.25	23	8.5	85.9
6.50	10	3.7	89.6
6.75	7	2.6	92.2
7.00	21	7.8	100
ჯამი	270	100	

ცხრილი №B2. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეორე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.50	22	8.1	8.1
2.75	20	7.5	15.6
3.00	1	0.4	15.9
3.25	3	1.1	17.0
3.50	4	1.5	18.5

3.75	1	0.4	18.9
4.00	11	4.1	23.0
4.25	8	3.0	25.9
4.50	9	3.3	29.3
4.75	11	4.1	33.3
5.00	9	3.3	36.7
5.25	23	8.5	45.2
5.50	15	5.6	50.7
5.75	28	10.4	61.1
6.00	30	11.1	72.2
6.25	11	4.1	76.3
6.50	19	7.0	83.3
6.75	20	7.4	90.7
7.00	25	9.3	100.0
ჯამი	270	100.0	

ცხრილი №B3. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მესამე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.00	1	0.4	0.4
2.25	1	0.4	0.7
2.75	41	15.2	15.9
3.25	3	1.1	17.0
3.50	8	3.0	20.0
3.75	9	3.3	23.3
4.00	8	3.0	26.3
4.25	11	4.1	30.4
4.50	11	4.1	34.4
4.75	16	5.9	40.4
5.00	23	8.5	48.9
5.25	16	5.9	54.8
5.50	39	14.4	69.3
5.75	10	3.7	73.0
6.00	25	9.3	82.2
6.25	15	5.6	87.8
6.50	9	3.3	91.1
6.75	4	1.5	92.6
7.00	20	7.4	100.0
ჯამი	270	100.0	

ცხრილი №B4. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეოთხე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.00	1	0.4	0.4
2.25	2	0.7	1.1
2.75	1	0.4	1.5
3.00	1	0.4	1.9
3.25	45	16.7	18.5
3.50	4	1.5	20.0
3.75	9	3.3	23.3
4.00	15	5.6	28.9
4.25	9	3.3	32.2
4.50	23	8.5	40.7
4.75	14	5.2	45.9
5.00	17	6.3	52.2
5.25	39	14.4	66.7
5.50	19	7.0	73.7
5.75	25	9.3	83.0
6.00	9	3.3	86.3
6.25	16	5.9	92.2
6.50	13	4.8	97.0
6.75	6	2.2	99.3
7.00	2	0.7	100.0
ჯამი	270	100.0	

ცხრილი №B5. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეხუთე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.75	1	0.4	0.4
3.00	3	1.1	1.5
3.25	8	3.0	4.4
3.50	56	20.7	25.2
3.75	20	7.4	32.6
4.00	25	9.3	41.9
4.25	21	7.8	49.6
4.50	23	8.5	58.1

4.75	15	5.6	63.7
5.00	13	4.8	68.5
5.25	27	10.0	78.5
5.50	17	6.3	84.8
5.75	11	4.1	88.9
6.00	9	3.3	92.2
6.25	11	4.1	96.3
6.50	4	1.5	97.8
6.75	4	1.5	99.3
7.00	2	0.7	100.0
ჯამი	270	100.0	

ცხრილი №B6 . რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეექვსე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.75	2	0.7	0.7
3.00	45	16.7	17.4
3.25	5	1.9	19.3
3.50	7	2.6	21.9
3.75	12	4.4	26.3
4.00	17	6.3	32.6
4.25	14	5.2	37.8
4.50	21	7.8	45.6
4.75	28	10.4	55.9
5.00	7	2.6	58.5
5.25	14	5.2	63.7
5.50	11	4.1	67.8
5.75	19	7.0	74.8
6.00	23	8.5	83.3
6.25	14	5.2	88.5
6.50	17	6.3	94.8
6.75	2	0.7	95.6
7.00	12	4.4	100.0
ჯამი	270	100.0	

ცხრილი №B7. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეშვიდე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)

2.50	1	0.4	0.4
3.00	3	1.1	1.5
3.25	7	2.6	4.1
3.50	50	18.5	22.6
3.75	17	6.3	28.9
4.00	18	6.7	35.6
4.25	31	11.5	47.0
4.50	22	8.1	55.2
4.75	31	11.5	66.7
5.00	23	8.5	75.2
5.25	12	4.4	79.6
5.50	23	8.5	88.1
5.75	13	4.8	93.0
6.00	4	1.5	94.4
6.25	12	4.4	98.4.
6.50	2	0.7	99.6
6.75	1	0.4	100
ჯამი	270	100.0	

ცხრილი №B8. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მერვე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.25	1	0.4	0.4
2.50	1	0.4	0.7
2.75	1	0.4	1.1
3.25	4	1.5	2.6
3.50	58	21.5	24.1
3.75	3	1.1	25.2
4.00	26	9.6	34.8
4.25	7	2.6	37.4
4.50	14	5.2	42.6
4.75	7	2.6	45.2
5.00	8	3.0	48.1
5.25	26	9.6	57.8
5.50	20	7.4	65.2
5.75	12	4.4	69.6
6.00	18	6.7	76.3
6.25	9	3.3	79.6
6.50	5	1.9	81.5

6.75	22	8.1	89.6
7.00	28	10.4	100.0
ჯამი	270	100.0	

ცხრილი №B9 .რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეცხრე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.50	1	0.4	0.4
3.00	1	0.4	0.7
3.25	4	1.5	2.2
3.50	4	1.5	3.7
3.75	8	3.0	6.7
4.00	63	23.3	30.0
4.25	17	6.3	36.3
4.50	14	5.2	41.5
4.75	20	7.4	48.9
5.00	24	8.9	57.8
5.25	24	8.9	66.7
5.50	42	15.6	82.2
5.75	22	8.1	90.4
6.00	11	4.1	94.4
6.25	5	1.9	96.3
6.50	7	2.6	98.9
7.00	3	1.1	100
ჯამი	270	100.0	

ცხრილი №B10. რესპონდენტთა ქულათა საშუალო განაწილება მეათე ფაქტორის მიხედვით

ქულათა ჯამი	რაოდენობა	განაწილება (%)	ჯამი(%)
2.75	3	1.1	1.1
3.25	2	0.7	1.9
3.50	51	18.9	20.7
3.75	10	3.7	24.4
4.00	29	10.7	35.2
4.25	13	4.8	40.0
4.50	18	6.7	46.7

4.75	26	9.6	56.3
5.00	8	3.0	59.3
5.25	10	3.7	63.0
5.50	17	6.3	69.3
5.75	21	7.8	77.0
6.00	16	5.9	83.0
6.25	8	3.0	85.9
6.50	16	5.9	91.9
6.75	8	3.0	94.8
7.00	14	5.2	100
ჯამი	270	100.0	

დანართი C

ცხრილი №C1. წიგნიერების საშუალო ქულა სქესის მიხედვით

სქესი	საშუალო ქულა (M)	რაოდენობა (N)	სტანდარტული გადახრა(SD)
მდედრობითი	4.8817	161	0.90971
მამრობითი	4.8119	109	0.93103
ჯამი	4.8535	270	0.91729

ცხრილი №C2. წიგნიერების ხარისხის საშუალო მაჩვენებელი ოჯახის შემოსავლის დონეების მიხედვით

ოჯახის შემოსავალი	საშუალო (Mean)	სტანდარტული გადახრა (Std.Deviation)	სტანდარტული შეცდომა (Std.Error)
0-500	4.48	0.53260	0.21743
500-1000	4.85	1.0469	0.09638
1000-1500	5.09	0.6926	0.084
1500-2000	5.10	0.641	0.0935
2000-დან ზევით	5.25	0.7434	0.1335

ცხრილი №C3. Tukey-ის ტესტის შედეგი: წიგნიერების ხარისხის საშუალო მაჩვენებელი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (GPA) მიხედვით

რამდენია თქვენი GPA ან ნიშნების საშუალო მაჩვენებელი	N	Subset for alpha = 0.05	
		1	2
1	9	4.3444	
4	92	4.7514	4.7514
2	56	4.8063	4.8063
3	113		5.0007

ცხრილი №C4. წიგნიერების ხარისხის საშუალო მაჩვენებელი უნივერსიტეტების მიხედვით

უნივერსიტეტები	საშუალო (Mean)	სტანდარტული გადახრა (Std.Deviation)	სტანდარტული შეცდომა (Std.Error)
თსუ	4.9853	0.78549	0.08280
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	4.8664	0.89543	0.09439
თავისუფალი უნივერისტეტი	4.7089	1.04188	0.10982

ცხრილი №C5. ინფორმაციის წარდგენის საშუალო მაჩვენებელი უნივერისიტეტების მიხედვით

უნივესიტეტები	N	Subset for alpha = 0.05
		1
თსუ	90	5.843
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	90	4.634
თავისუფალი უნივერსიტეტი	90	4.8389

ცხრილი №C6. ინფორმაციის ეთიკური, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური საკითები უნივერსიტეტების მიხედვით

უნივერსიტეტები	საშუალო (Mean)	სტანდარტული გადახრა (Std.Deviation)	სტანდარტული შეცდომა (Std.Error)
თსუ	5.5432	0.78233	0.08247
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	4.7806	0.81664	0.08608
თავისუფალი უნივერისტეტი	4.7417	0.87285	0.9201

ცხრილი №C7. წიგნიერების საშუალო მაჩვენებელის ვარიაცია ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტები	საშუალოთა შორის სხვაობა (Mean Difference)	სტანდარტული შეცდომა (Std. Error)	სტატისტიკური მნიშვნელოვნება (Sig.)
ზუსტი და საბუნებისმეტყველო ჰუმანიტარული	0.6079* 0.8699*	0.13423 0.13423	0.013 0.04
სოციალური და პოლიტიკური ჰუმანიტარული	-0,5106* 0.3593*	0.13423 0.13423	0.013 0.005
სოციალური და პოლიტიკური ზუსტი და საბუნებისმეტყველო	-0.8699* -0.3593*	0.13423 0.13423	0.04 0.005
*. The mean difference is significant at the 0.05 level.			

ცხრილი №C8. Tukey-ის ტესტის შედეგი: წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტები	N	Subset for alpha = 0.05	
სოციალური და პოლიტიკური	90	5.1341	
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	90	4.6235	
ჰუმანიტარული	90		4.2642

ცხრილი №C9. Tukey-ის ტესტის შედეგი: ინფორმაციის მიღებისა და განლაგების საშუალო მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტები	N	Subset for alpha = 0.05	
		1	2
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	90	4.5611	
სოციალური და პოლიტიკური	90		4.9611
ჰუმანიტარული	90		4.9833

ცხრილი №C10.ინფორმაციის სინთეზისა და ორგანიზების საშუალო მაჩვენებელის ვარიაცია ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტები	საშუალოთა შორის სხვაობა (Mean Difference)	სტანდარტული შეცდომა (Std. Error)	სტატისტიკური მნიშვნელოვნება (Sig.)
ზუსტი და საბუნებისმეტყველო ჰუმანიტარული	-0.0639 0.2972*	0.12819 0.12819	0.872 0.05
სოციალური და პოლიტიკური ჰუმანიტარული	0,0639* 0.3611*	0.12819 0.12819	0.05 0.014
სოციალური და პოლიტიკური ზუსტი და საბუნებისმეტყველო	-0.2972 -0.3611*	0.12819 0.12819	0.872 0.014
*. The mean difference is significant at the 0.05 level.			

დანართი D

კვლევის ინსტრუმენტი

კითხვარი

დემოგრაფიული ბლოკი

1. ასაკი (ჩაწერეთ): _____

2. სქესი:

1. მდედრობითი 2. მამრობითი

3. რომელ უნივერსიტეტში სწავლობთ?

1. თსუ
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. კავკასიის უნივერსიტეტი
4. თავისუფალი უნივერსიტეტი
5. სხვა (ჩაწერეთ) _____

4. რომელ ფაკულტეტზე სწავლობთ?

5.რომელ კურსზე ცწავლობთ?

1.III 2.IV

6. რამდენია თქვენი GPA ან ნიშნების საშუალო მაჩვენებელი?

7.რომელ ქალაქში/სოფელში დაამთავრეთ სკოლა?

ქალაქი----------

სოფელი---------

8.სკოლის სწავლების ენა

1. ქართული
2. აზერბაიჯანული
3. სომხური
4. რუსული
5. სხვა (ჩაწერეთ) _____
6. არ ვიცი

9. თქვენი მშობლიური ენა

1. ქართული
2. აზერბაიჯანული
3. სომხური
4. რუსული
5. სხვა (ჩაწერეთ) _____

10. მშობლების განათლების საფეხური (დედა)

1. დაწყებითი
2. საბაზო (5-9)
3. საშუალო
4. პროფესიულ-ტექნიკური

5. უმაღლესი

6. არ ვიცი

11. მშობლების განათლების საფეხური (მამა)

1. დაწყებითი

2. საბაზო (5-9)

3. საშუალო

4. პროფესიულ-ტექნიკური

5. უმაღლესი

6. არ ვიცი

13. ოჯახის საშუალო შემოსავალი

1. 0-500

2. 500-1000

3. 1000-1500

4. 1500-2000

5. 2000-დან ზევით

ქვემოთ წარმოდგენილია მტკიცებულებები. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ თითოეული მათგანი და მიუთითოთ, თუ რამდენად ეთანხმებით თითოეულ დებულებას. 1-ნიშნავს სრულიად არ ვეთანხმები, 7-სრულიად ვეთანხმები.

1	როცა დავალებად მაქვს კვლევისთვის ან სიტყვისთვის ინფორმაციის მოძიება, თავდაჯერებულად ვსაზღვრავ მოსაძებნ თემას.	1 2 3 4 5 6 7
2	ზოგჯერ თავს დაკარგულად ვგრძნობ, რადგან თემა,	1 2 3 4 5 6 7

	რომლის კვლევაც მსურს, არც ისე კარგად მესმის.	
3	შემიძლია რთულ თემას შევეჭიდო და დავანაწილო უფრო ხელსაყრელ, მარტივ ნაწილებად.	1 2 3 4 5 6 7
4	ალბათ, „დაბნეული“ ყველაზე უკეთ აღწერს ჩემს მდგომარეობას პროექტის დასაწყისში.	1 2 3 4 5 6 7
5	ზოგჯერ არ ვარ დარწმუნებული, რამდენი ინფორმაცია მჭირდება დავალების შესასრულებლად.	1 2 3 4 5 6 7
6	ვიცი განსხვავება „პირველად“ და „მეორეულ“ წყაროებს შორის.	1 2 3 4 5 6 7
7	ინფორმაციის მოძიებისას მაბნევს განსხვავებული ფორმატები (ბეჭდური, ელექტრონული, და სხვ.).	1 2 3 4 5 6 7
8	დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია მოძიებული ინფორმაციის გამოყენება.	1 2 3 4 5 6 7
9	ვიცი, როგორ გავაფართოო ან შევავიწროო ძიება ბულის ოპერატორების („და“, „არა“ ან „ან“) გამოყენებით ან შეკვეცით.	1 2 3 4 5 6 7
10	ადვილია ძიების შედეგების ინტერპრეტაცია.	1 2 3 4 5 6 7
11	დარწმუნებული არ ვარ როგორ უნდა გამოვიყენო ინდექსი (მაგ., კატალოგი, მონაცემთა ბაზა და სხვ.).	1 2 3 4 5 6 7
12	თავდაჯერებულად შემიძლია წვდომა საჭირო მასალებზე (ბეჭდვა, ელ–ფოსტა, ბიბლიოთეკის აბონემენტი და სხვ.).	1 2 3 4 5 6 7
13	მესმის ბიბლიოთეკაში მასალების ორგანიზება. (ან ორგანიზების წესი)	1 2 3 4 5 6 7
14	საკანონმდებლო დოკუმენტები ჩემთვის ბუნდოვანია (დამაბნეველია).	1 2 3 4 5 6 7
15	ვებძიების სისტემები არასაიმედოა.	1 2 3 4 5 6 7
16	ვიცი განსხვავება რეზიუმესა (აბსტრაქტსა) და სტატიას შორის.	1 2 3 4 5 6 7
17	ზოგჯერ ვერ ვიგებ ვისთვის არის განკუთვნილი ინფორმაცია.	1 2 3 4 5 6 7
18	შემიძლია თავდაჯერებულად გამოვიყენო მედიის მრავალი სხვადასხვა ფორმა (ბეჭდური, ვიდეო, ფოტოგრაფია და სხვ.) ინფორმაციის სახით ჩემი თემისთვის.	1 2 3 4 5 6 7
19	ზოგჯერ ინფორმაციის მწარმოებელი (შემქმნელი) ბუნდოვანია.	1 2 3 4 5 6 7
20	თავდაჯერებულად შემიძლია უზუსტობის, შეცდომისა და სხვათა გარჩევა მასმედიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში.	1 2 3 4 5 6 7
21	ნაპოვნი ინფორმაცია იმდენად დამაბნეველია, არ ვიცი, გამოვიყენებ თუ არა.	1 2 3 4 5 6 7
22	არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია ზუსტია.	1 2 3 4 5 6 7

23	ინფორმაცია, რომელსაც ვიყენებ სრულყოფილი და საიმედოა.	1 2 3 4 5 6 7
24	დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია პასუხობს ან ეხება ჩემს თემას.	1 2 3 4 5 6 7
25	ჩემ მიერ ნაპოვნი ინფორმაციიდან ბევრი არარელევანტურია ან არასაჭირო.	1 2 3 4 5 6 7
26	ინფორმაციის თავმოყრის შემდეგ ადვილია მისი დახარისხება მსგავსი შინაარსის მიხედვით.	1 2 3 4 5 6 7
27	ზოგჯერ ჩემი კითხვა (საკვლევი საკითხი) იცვლება იმის მიხედვით, რა ინფორმაცია ვიპოვე.	1 2 3 4 5 6 7
28	თუ ჩემი თემატური ნარკვევიდან აზრის გამოტანა ჭირს, იმედგაცრუებული ვარ.	1 2 3 4 5 6 7
29	დარწმუნებული არ ვარ კომუნიკაციის რომელი საშუალებაა (სლაიდი, ვიდეო, პლაკატი და სხვ.) შესატყვისი კონკრეტული ინფორმაციის მისაწოდებლად.	1 2 3 4 5 6 7
30	ვიცი ჩემი აუდიტორია და ისიც, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მათი მოთხოვნების შესაბამისია.	1 2 3 4 5 6 7
31	ზოგჯერ ეჭვი მიჩნდება იმის შესახებ, თუ რატომ ვიზიარებ კონკრეტულ ინფორმაციას.	1 2 3 4 5 6 7
32	დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ინფორმაცია ნათლად და დამაჯერებლად არის წარდგენილი.	1 2 3 4 5 6 7
33	დარწმუნებული არ ვარ, როგორ უნდა ჩავწერო ან მივუთითო წყაროები.	1 2 3 4 5 6 7
34	მაქვს კითხვები მიღებული ინფორმაციის პრივატულობის (კონფიდენციალურობის) შესახებ.	1 2 3 4 5 6 7
35	შემიძლია განვსაზღვრო, როდის არის ინფორმაცია მიკერძოებული.	1 2 3 4 5 6 7
36	ვიცი, რომ კონფიდენციალური მასალა არ უნდა გამოვიყენო.	1 2 3 4 5 6 7
37	პროექტის მომზადებისას, ვიცი როგორ მიიღებენ მას სხვები.	1 2 3 4 5 6 7
38	უკუკავშირი ჩემთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს.	1 2 3 4 5 6 7
39	შემიძლია ვისწავლო, რა პროცესები იქნება სასარგებლო მომავალში ინფორმაციის მოსაძიებლად.	1 2 3 4 5 6 7
40	ინფორმაციის წარდგენის შემდეგ არ ვარ დარწმუნებული, როგორ მიიღო ის მსმენელმა.	1 2 3 4 5 6 7

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Education Sciences

Master's Program "Education Sciences"

Lekiashvili Mariam

Study of quality of student literacy in higher educational institutions of Georgia

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Ketevan Chkuaseli,

Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Pedagogical Sciences

Tbilisi

2019